CIAN MAGENTA YALLOW BLACK


# ალია

N57 (3373) 25 მაისი 2016 წ

PRESS

ფასი 50 თეთრი

ორშაბათი ALIA | ოთხშაბათი ALIA | ხუთშაბათი ALIA | პარასკევი ALIA

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან


## 50 თეთრი გამოდის:

ოთხშაბათი ALIA | ხუთშაბათი ALIA | პარასკევი ALIA

## სანდრო ბრეგაძე: „კვირიკაშვილი, მარგველაშვილი, „რესპუბლიკელები“ — ეს ტრიო ემზადება ხელისუფლების „ნაცებისთვის“ გადასაბარებლად!“

3

**რა მტკიცებულებები აქვს ბრეგაძეს?**

## ბოკერიას, მელიას, გუნავას და სხვა „ნაციონალების“ ცემას კახა კალაძე გადაყვება?

5

**რა სცენარი მზადდება ბიძინა ივანიშვილის ახლო გარემოცვაში?**

## რატომ დასჭირდა ხელისუფლებას საარჩევნოდ სისხლის სამართლის კოდექსის გამკაცრება, როცა მოქმედსაც კი არ იყენებს?

7

## ვის და რის გამო დაიწყო კორცხელში ჩხუბი?

9

**რას უყვება თვითმხილველი „ალიას“**

## მილიარდერი ივანიშვილის „ქართულ ოცნებას“ პარტიული ლონიძიებებისთვის ბიუჯეტის თანხების ხარჯვა დაუწყია...

13

## რა ფსიქოლოგიური პროპაგანდა დაიწყეს „ნაციონალებმა“ და იმოქმედებს თუ არა ეს ამომრჩეველზე?

11

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილი-ჯანყარაშვილი-ჩხენკელი-დანელია: „მაფიოზური ჯგუფი? - რა ბიზნესს „კრიშავდა“ შსს?

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნის, გიორგი ბაჯელიძის მიერ გაკეთებული განცხადებების შემდეგ გამოძიების დაწყების აუცილებლობაზე საუბრობს.

„პირველ რადიოსთან“ ინტერვიუში ირაკლი ალასანია ამბობს, ბაჯელიძე საკმაოდ კონკრეტულად საუბრობს იმისათვის, რომ გამოძიება დაიწყოს, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ე.წ. კაბელების საქმის ახალ გარემოებებამდე:

– ეს განცხადებები, რომელიც გააკეთა ბატონმა ბაჯელიძემ იმდენად დეტალურია, ითხოვს იმწამსვე დაიწყოს გამოძიება შსს-ს მხრიდან. რა გარემოებებში მოხდა ეს შეხვედრა, რატომ იძლეოდა შსს-ს მაღალჩინოსანი ესე მომთხოვნი ტონით ინსტრუქციას, რომ კონკრეტულად ამ ფირმასთან გაფორმებულიყო საიდუმლო შეთანხმება და აქვე იბადება ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვა, რომელიც უკავშირდება კაბელების საქმეს. „დელტაკომი“ ზუსტად ის ორგანიზაციაა, რომელსაც უნდოდა მონაწილეობის მიღება და მიიღო კიდევაც გამოკითხვაში, თავდაცვის სამინისტროში და რომლის განცხადების საფუძველზე დაიწყო შემდეგ პროკურატურამ გამოძიება. აქ არის პირდაპირი კავშირი, ინტერესთა კავშირი შსს-ს მაღალჩინოსნების „დელტაკომის“ საქმიანობასთან დაკავშირებით. ასევე, იბადება ეჭვი, რომ ასეთი კავშირი და ინტერესი შეიძლება ყოფილიყო სწორედ თავდაცვის სამინისტროში განხორციელებულ ფასთაგამოკითხვაზე. ამიტომ, ამასთან დაკავშირებით სასწრაფოდ უნდა დაიწყოს გამოძიება და დარწმუნებული ვარ, თუკი კეთილსინდისიერად ჩატარდება, გამოიკვეთება ახალი გარემოებები, რომელიც მართლაც საბოლოოდ გახდება პროკურატურის მხრიდან სისხლის სამართლის აღძვრის საფუძველი, - აცხადებს ალასანია.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებასთან პრობლემები „დელტას“ გარკვეული გარიგების სანაცვლოდ მოუგვარდა და ამ მოგვარებაში კომპანიას მაშინდელმა შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაუწია დახმარება, ალასანია ამბობს, რომ ლოგიკური კავშირი არსებობს.

– ამ ლოგიკურ კავშირს, ბუნებრივია, ჩვენც და საზოგადოებაც ხედავს. რაც შეეხება კონკრეტულად ამ შეფასებებს, რაც გააკეთა „დელტაკომის“ დირექტორმა, პირდაპირ გაგვახსენა ის ვითარება, რომელიც საქართველოში იყო, როდესაც მაღალი თანამდებობის პირები „კრიშავდნენ“ ბიზნესებს. მისი განცხადებიდან სხვა არაფრის შთაბეჭდილება არ რჩება თუ არა იმის, რომ შსს-ს მაღალჩინოსნებმა „დაკრიშეს“ მისი ბიზნესი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ „დელტაკომი“ იყო მანამდე ვანო მერაბიშვილის ფრთის ქვეშ და როდესაც მოხდა ხელისუფლების ცვლილება, მათ იგრძნეს თავი უპატრონოდ და აქედან გამომდინარე, დაიწყეს მოლაპარაკებები შს მინისტრთან. ეს იკვეთება სწორედ იმ შეფასებებიდან, რომელსაც აკეთებს სწორედ „დელტაკომის“ დირექტორი, - აცხადებს ალასანია.

კითხვაზე – ღარიბაშვილი, ჯანყარაშვილი, ჩხენკელი, დანელია, არიან თუ არა ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ, შეიძლება მივიჩნიოთ ჩართულები ამ პროცესში და უნდა მოხდეს თუ არა მათი დაკითხვა, ალასანია პასუხობს:

– როგორც ბატონი ბაჯელიძე ამბობს, ზუსტად ეს ის მაფიოზური ჯგუფია. მე მახსოვს კარგად, მან ეს ფრაზა გამოიყენა, რომელიც მასზე ზეწოლას ახორციელებდა და რა თქმა უნდა, გამოძიება ამით უნდა დაინტერესდეს, - განაცხადა ირაკლი ალასანიამ. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინაში პარტიას ქმნის, საქართველოში ჩამოდის — დიდი გეგმები აქვს ბიჭს!

არსებობს თუ არა დაპირისპირება მიხეილ სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის - ამასთან დაკავშირებით კითხვებს სააკაშვილმა „არჩევანის" ეთერში უპასუხა.

ექსპრეზიდენტი ამბობს, რომ ის სრულად იზიარებს პასუხისმგებლობას იმ მოვლენებზე, რომელიც ქვეყანაში ხდება. სააკაშვილის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ ემყარება იდეოლოგიას და არა ცალკეულ პიროვნებებს.

– ჩვენ გვაქვს დიუსკუსია, კამათი, მაგრამ ეს არის ხედვებზე კამათი, მთავარია, სად იქნება საქართველო და როგორი ახალი განვითარება იქნება, როგორ შევქმნით სამუშაო ადგილებს და როგორ ამოვიყვანთ საქართველოს ამ საშინელი სიღარიბიდან, - აცხადებს სააკაშვილი.

სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილს პათოლოგიურ მატყუარას უწოდებს.

– ნებისმიერი ჭორვილელი გლეხი უფრო განვითარებულია, ვიდრე ეს კაცი. ამ კაცს აქვს ერთ ნიჭი: პათოლოგიური მატყუარაა. ამასწინათ ჰყვებოდა, რომ მე მას ვთავაზობდი ბოტანიკური ბაღის მითვისებას. თუ რამის მითვისება იქნებოდა, მე მივითვისებდი, რაღა მაგას მივცემდი? თურმე, ვეხვეწებოდი და ამას ისე წარბშეუხრელად ჰყვება, შეიძლება დავეჭვებულიყავი. ერთი პროექტი, რომელიც მე მას შევთავაზე იყო, ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, რომელზეც ცივი უარი მითხრა. მას დებილები ხომ არ ვგონივართ, ქართველი ხალხი ბრძენია და ესენი, მგონი, ვერ ხვდებიან, სად არიან, - აცხადებს სააკაშვილი. (ნოუპოსტი)

## რატიანი პრემიერზე: იმ პარტიის ლიდერი აკეთებს ამ განცხადებას, რომელმაც რეალურად იძალავა ოპონენტებზე

საპარლამენტო უმცირესობის წევრი სერგო რატიანი კორცხელის საარჩევნო უბანთან მომხდარ დაპირისპირებაზე პრემიერის განცხადებას არაადეკვატურს უწოდებს. დეპუტატის თქმით, პრემიერი ვერ აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არჩევნების მშვიდობიან გარემოში ჩატარება.

– როგორც ჩანს, პრემიერი ვერ აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას, პასუხისმგებლობას პრემიერის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, რომ მშვიდობიან გარემოში ჩატარდეს არჩევნები და იმ პარტიის ლიდერი აკეთებს ამ განცხადებას, რომელმაც რეალურად იძალავა ოპონენტებზე და მიუქსია „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს ზონდერჯგუფები და მოახდინა დარბევები და ძალადობა. ეს განცხადება შეიძლებოდა გაეკეთებინა რომელიღაც უმნიშვნელო პარტიის ლიდერს, მაშინ იქნებოდა ადეკვატური, - განაცხდა რატიანმა.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, საარჩევნო პროცესებში ძალადობის გამოვლინებაზე სანქციები გამკაცრდება. (news.ge)

**● აბა, გულზე ხელი დაიდე, ძვირფასო მკითხველო და თქვი, ხომ არის გასაცოფებელი რატიანის ეს უტიფრობა?! ჰო, გასაცოფებელი და გასაგიჟებელია, მაგრამ რაც დათესა უმაქნისმა „ქართულმა ოცნებამ“, ახლა ზუსტად იმას იმკის.**

## არჩილ თალაკვაძეს ოზურგეთის მაჟორიტარობისთვის ამზადებენ

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, სავარაუდოდ, სახელისუფლებო პარტიიდან ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იქნება. ოზურგეთში ეს ინფორმაცია კულუარულად მას შემდეგ გავრცელდა, რაც №1 საჯარო სკოლის საიუბილეო საღამოზე სტუმრად მყოფმა მინისტრის მოადგილის დედამ ამის შესახებ საახლობლოს ამცნო:

– სავარაუდოდ, ჩემი შვილი მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელდება და მაქვს ოზურგეთის იმედი, - აღნიშნა ქალბატონმა რამდენიმე ახლობელთან.

„გურიის მოამბემ“ აღნიშნულზე ოზურგეთში გამართულ შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით სტუმრად მყოფ ოზურგეთის მაჟორიტარს და „ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრ ზვიად კვაჭანტირაძეს კომენტარი სთხოვა.

– არჩილი არ არის ის ფიგურა, რომელსაც ვერ დაეყრდნობი, ან მისი იმედი არ შეიძლება გქონდეს. ჯერ ამაზე საუბარი არ ყოფილა. ამ ეტაპზე ამ ინფორმაციას ვერც უარვყოფ და ვერც დაგიდასტურებთ, все может быть, - განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ. (ნოუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ამერიკელებს იმის ილუზია აქვთ, რომ რუსეთთან მეგობრობა შესაძლებელია

აშშ-ის ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი ვიცეპრეზიდენტ დეიმონ უილსონის განცხადებით, საქართველოს შეუძლია, მიაღწიოს შედეგს და ნატოს წევრი გახდეს. აღნიშნული განცხადება მან საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების მეათე კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

მისი თქმით, დღეს მსოფლიოს წყობა და უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშაა.

უილსონის შეფასებით, საჭიროა რუსეთთან სტრატეგიული თანამშრომლობა, რათა მტერი მეგობრად იქცეს.

– ატლანტიკურ საბჭოს მიაჩნია, რომ საქართველოს შეუძლია, მიაღწიოს შედეგს და ნატოს წევრი გახდეს. დამოუკიდებლობის 25 წლის მანძილზე, საქართველო რეგიონში დასაყრდენი გახდა. მსოფლიო წყობა და უსაფრთხოება, განსაკუთრებით ევროპის აღმოსავლეთში, კითხვის ნიშნის ქვეშაა. ჩვენ წინ უნდა დავუდგეთ გამოწვევებს. ჩვენი სტრატეგიული თანამშრომლობა რუსეთთან უნდა გაძლიერდეს, რათა მტერი მეგობრად იქცეს. რუსეთი საშიშროების წინაშე აყენებს უსაფრთხოების საკითხებს, რაც ხდება საქართველოსა და უკრაინაში, - განაცხადა უილსონმა. (pia.ge)

**● ვისაც ჰგონია, რომ დათვთან მეგობრობა შესაძლებელია, ძალიან დიდ შეცდომას უშვებს — ნადირი როგორც არ უნდა მოათვინიერო, რაც არ უნდა ბევრი თაფლი აჭამო, მოუვლის ერთ დღესაც ტვინში და ისე დაგტორავს, სიკვდილს განატრებინებს, ეს ერთი და მეორე — ძალიან საინტერესოა, ამერიკელი ჩინოსნის ამ განცხადებას როგორ შეაფასებენ ქართველი „პეროგაყრილები“, რომლებიც ყველგან რუსეთუმეებს ხედავენ?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჩალაგაშვილი ვაშაძის გუნდს უერთდება და „ნაცმოძრაობის“ დატოვების მიზეზებზე საუბრობს

გურამ ჩალაგაშვილმა „ნაციონალურ მოძრაობა“ დატოვა და გიორგი ვაშაძეს შეუერთდა.

„ნაცმოძრაობის“ დატოვების მიზეზებზე საუბრისას ჩალაგაშვილმა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება ენმ-ს ჩაკეტილი სისტემის გამო მიიღო.

– მიზეზი ზუსტად ის არის, რის გამოც რამდენიმე დღის წინ გიორგი ვაშაძემ დატოვა მათი რიგები. ეს არის ჩაკეტილი სისტემა, როცა მთელი პარტიის სახელით მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას. ამის პარალელურად არ ჩანს გეგმა, როგორ მოვიშოროთ ივანიშვილის უუნარო ხელისუფლება, - განაცხადა ჩალაგაშვილმა.

მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებთან კონტაქტი 2 მაისის შემდეგ არ ჰქონია.

გურამ ჩალაგაშვილის განცხადებით, სხვა მიზეზებთან ერთად, ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას კრიტიკაც გახდა.

– რა თქმა უნდა, პარტიიდან ჩემი წასვლის მიზეზი ესეც გახდა. ყველამ იცის, ვინც მიცნობს, კარგად იცის, რომ ის თემა, რასაც მაშინ შევეხე, ძალიან მტკივნეული თემაა, მაგრამ მთავარი მიზეზი არის ის, რომ ჩაკეტილ კარს მიღმა რამდენიმე ადამიანი იღებს „ნაციონალურ მოძრაობაში“ გადაწყვეტილებებს, - განაცხადა ჩალაბაშვილმა. (newposts.ge; daijesti.pia.ge)

**● რაღაც ისეთი პირი უჩანს, ყველა „ნაცი“ გამოვარდება ამ დაწყევლილი პარტიიდან, შექმნის ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას და „ოცნებასაც“ მეტი რა უნდა, იტყვის — აგე, იმდენი ვქენით, „ნაციონალური მოძრაობა“ მარტივ მამრავლებად დავშალეთო.**

**ერთი აქეთ მოიხედეთ, კაცო — მაგათი დაშლა კი არ უნდოდა და კი არ უნდა ხალხს, უმაქნისო „ოცნებავ“, უნდა დასჯილიყვნენ, პასუხი უნდა ეგოთ ყველაფრისთვის, ყველა იმ სისხლიანი დანაშაულისთვის, რაც ჩაიდინეს, მაგრამ უხეიროები ხართ, უშნოები და უპასუხისმგებლოები!!!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინაში მიხეილ სააკაშვილმა პარტიის ფორმირება დაიწყო

უკრაინაში ახალი პოლიტიკური ძალის შექმნა დაიწყო, რომლის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი იქნება. ამის შესახებ უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ განაცხადა.

როგორც საყვარელიძე აცხადებს, პარტია მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესებს გაატარებს.

ის, რომ სააკაშვილი უკრაინაში საკუთარი პარტიის შექმნას აპირებს, უკრაინელი პოლიტოლოგები უკვე რამდენიმე თვეა აცხადებენ. ეს საუბარი განსაკუთრებით ინტენსიური მას შემდეგ გახდა, რაც ოდესის გუბერნატორმა ანტიკორუფციული ფორუმების ჩატარება დაიწყო სახელწოდებით „მოძრაობა განწმენდისთვის". (kviira.ge)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

# სანდრო ბრეგაძე: „კვირიკაშვილი, მარგველაშვილი, „რესპუბლიკელები“ – ეს ტრიო ემზადება ხელისუფლების „ნაცებისთვის“ გადასაბარებლად!“

მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ საკუთარი „ფეისბუკის“ გვერდზე ძალიან სკანდალური განცხადება დაწერა: „კვირიკაშვილი, მარგველაშვილი, „რესპუბლიკელები“ – ეს ტრიო ემზადება ხელისუფლების „ნაცებისთვის“ გადასაბარებლად!“

„რესპუბლიკელები“, ცნობილი მიზეზების გამო, კოალიციურ პოლიტიკურ მინდორზე „ქართული ოცნებასთან“ ერთად რომ აღარ „ძოვენ“, ეს უკვე ვიცით, თუნდაც იმ განცხადებებიდან გამომდინარე, რომელსაც „რესპუბლიკელი“ ლიდერები აკეთებენ ხოლმე. მარგველაშვილი რომ ივანიშვილმა თავის ხელისბიჭად ვერ აქცია, ესაც კარგად ვიცით... ბრეგაძის მიერ დასახელებულ „ტრიოში“ ყველაზე საინტერესო გიორგი კვირიკაშვილის სახელი და გვარია – ადამიანის, რომელსაც ივანიშვილთან წლების ურთიერთობა აკავშირებს, რომელსაც ყოფილი პრემიერი, როგორც თავად არაერთხელ უთქვამს, ენდობა და სწორედ ამ ნდობის გამოხატვაა, რომ კვირიკაშვილი ჯერ პრემიერი, შემდეგ კი პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერი გახდა. კანონიც კი „მოარგეს“ კვირიკაშვილს, რომ, თუკი ის „ოცნების“ სიას სათავეში ჩაუდგება (რაშიც ეჭვი, ფაქტობრივად, არავის ეპარება), პარალელურად პრემიერ-მინისტრის პოსტსაც შეინარჩუნებს და გადადგომა არ მოუწევს.

თუკი სანდრო ბრეგაძის ინფორმაცია რეალობაა, ორი დიდი კითხვის ნიშანი ჩნდება: ან კვირიკაშვილი ბიძინა ივანიშვილს ღალატობს, ან ივანიშვილის დავალებას ასრულებს და ივანიშვილის და „ნაციონალების“ ურთიერთლანძღვა ამ 4 წლის მანძილზე, კარგად შენიღბული თამაში იყო.

**ერთი სიტყვით, სანდრო ბრეგაძის მიერ გაკეთებული განცხადების ირგვლივ საკმაოდ ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება და დეტალების გასარკვევად, „ალია“ „ეროვნულების“ ლიდერს დაუკავშირდა:**

**— სანდრო, რაზე დაყრდნობით აცხადებთ, რომ კვირიკაშვილის, მარგველაშვილისა და „რესპუბლიკელების“ ტრიო ემზადება ხელისუფლების „ნაციონალური მოძრაობისთვის“ გადასაბარებლად? რაში გამოიხატება ეს გადაბარების პროცესი?**

– პირველ რიგში, მინდა ერთ საინტერესო მოვლენას ავხადო ფარდა: დღეს მთელი საქართველო აღშფოთებულია ბატონი კოღუაშვილის მიერ გამოთქმული ფრიად „ორიგინალური“, ამავე დროს, ამაზრზენი მოსაზრებების გამო, როდესაც მან მიხელ სააკაშვილს რეფორმატორი უწოდა და ვანო მერაბიშვილისა და გიგი უგულავას ციხიდან გამოშვება მოითხოვა. ერთი რამ მინდა იცოდეს მთელმა საქართველომ: ეს არ იყო კონკრეტულად კოღუაშვილის მოსაზრებები, რადგანაც ის არ არის ისეთი პიროვნება, ვინც დამოუკიდებლად განახორციელებს რამეს – მე როგორც მაქვს ინფორმაცია, ეს იყო ბატონი კვირიკაშვილის მიერ დავალებული, რათა დაეტესტათ მოსახლეობა იმაზე, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება მერაბიშვილისა და უგულავას ციხიდან გამოშვება და სააკაშვილის რეაბილიტაცია. მეორე: ბატონი კვირიკაშვილის ქმედებები, თუნდაც „ნაციონალებთან“ მიმართებაში, არის „ნაციონალების“ წისქვილზე წყლის დასხმა და თქვენ თუ დააკვირდებით „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კონტროლირებად მედიასაშუალებებს, ნათლად დაინახავთ, რომ ისინი ერთ ცუდსაც კი არ ამბობენ კვირიკაშვილზე, რადგანაც მათ ყველანაირად აწყობთ კვირიკაშვილი. რაც ყველაზე მთავარია: ბატონ ბიძინა ივანიშვილს კვირიკაშვილი „შეუგდეს“ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კვირიკაშვილი გახლავთ ადამიანი, რომელიც რევოლუციური სცენარის მომენტში გვერდზე გაიწევა და ხელისუფლებას გადააბარებს „ნაციონალურ მოძრაობას“.

**— რა სცენარზეა საუბარი?**

– პირდაპირ გეტყვით: ოდესაში მოკალათებულ მიხეილ სააკაშვილს, თავის უცხოელ მეგობრებთან ერთად, შემუშავებული აქვს ასეთი სცენარი – 2016 წლის არჩევნები არალეგიტიმურად უნდა იქნას ცნობილი; ამის ფონზე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, ასევე, უნდა გამოაცხადოს, რომ ეს არჩევნები არის არალეგიტიმური, უნდა განვითარდეს რევოლუციური სცენარი, რომლის დროსაც ბატონი კვირიკაშვილი, როგორც „დიდი დემოკრატი“ პრემიერ-მინისტრი, გაიწევა ხელისუფლებიდან და ხელისუფლებას გადააბარებს „ნაციონალურ მოძრაობას“. ეს არის სცენარი, რომელზეც მე არაერთი ჩემი უცხოელი მეგობარი მესაუბრა, რომლის შესახებაც საკმაოდ დიდი ხანია, ხელისუფლებას ვაფრთხილებ და რომელიც, ვფიქრობ, საქართველოს დაღუპვისკენ მიმავალი გზაა.

**— თქვენ კი ამბობთ, გიორგი კვირიკაშვილი ბიძინა ივანიშვილს შეუგდესო, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ისინი წლებია, მეგობრობენ და რომ ივანიშვილი მას ენდობა...**

– ზუსტად ამაზე მინდა ვთქვა: კვირიკაშვილს „ნაციონალური მოძრაობის“ საწინააღმდეგო ერთ აქციაშიც არ მიუღია მონაწილეობა, პირიქით, უარესს გეტყვით: როდესაც ის იყო „ქართუ ბანკის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი, არჩევნების წინ პირდაპირ განაცხადა, რომ ის თანამდებობიდან გადადგებოდა, ვერ მიიღებდა მონაწილეობას „ქართუ ბანკის“ საქმიანობაში, ვინაიდან ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში იყო შემოსული. აქედან გამომდინარე, მას არ უნდოდა, ურთიერთობა გაეფუჭებინა „ნაციონალურ მოძრაობასთან“, ის გადადგა თავისი თანამდებობიდან და ფაქტობრივად, პოლიტიკურ პროცესებსა და „ქართუ ჯგუფს“ გაეცალა. ამის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის დარწმუნება მოინდომეს, რომ სინამდვილეში ის იყო მისი ერთგული და ა.შ. ადამიანი, რომელმაც 2011 წელს უგანა ბიძინა ივანიშვილს და პროცესებს ვანო მერაბიშვილის დავალებით გაეცალა, თქვენ როგორ ფიქრობთ, ახლა ეს ადამიანი არ არის დაკავშირებული „ნაციონალურ მოძრაობასთან?“ კვირიკაშვილი თავიდან ბოლომდე არის დაკავშირებული „ნაციონალურ მოძრაობასთან“. ის არის შევარდნაძის ხელისუფლების ნარჩენი, რომელიც აუცილებლად უნდა მოსცილდეს ხელისუფლებას.

**— რასაც თქვენ ამბობთ, გამოდის, რომ ან კვირიკაშვილი ბიძინა ივანიშვილის ღალატს აპირებს, ან ყველაფერი მასთანაა შეთანხმებული. ამას გამორიცხავთ?**

– არა, ბიძინა ივანიშვილთან არაფერი არ არის შეთანხმებული, რადგან ის ნამდვილად არ აპირებს „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ხელისუფლების გადაბარებას. ეს ყველაფერი არის მიხეილ სააკაშვილთან შეთანხმებული და მოდით, პირდაპირ ვთქვათ: არიან ადამიანები, რომლებზეც მიხეილ სააკაშვილსა და მის გარემოცვას აქვთ ისეთი დიდი კომპრომატები, რომელ კომპრომატებსაც ისინი ვერსად ვერ გაექცევიან. აქედან გამომდინარე, მე არ მინდა ყველაფერზე ვისაუბრო, მაგრამ ბატონი კვირიკაშვილი სერიოზულად არის დაშანტაჟებული „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ და ის ვერასოდეს ვერ წავა მათ წინააღმდეგ. „ნაციონალური მოძრაობა“ მაქსიმალურად ცდილობს, არჩევნებამდე „ქართული ოცნების“ სახედ შეინარჩუნოს კვირიკაშვილი, რადგან მშვენივრად იციან, რომ საჭირო მომენტში კვირიკაშვილი გააკეთებს იმას, რაც მიხეილ სააკაშვილს სურს. ეს უნდა ითქვას ხმამაღლა და საქვეყნოდ!

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

# ბოკერიას, მელიას, გუნავას და სხვა „ნაციონალების“ ცემას კახა კალაძე გადაყვება?

22 მაისს, შუალედური არჩევნების დღეს, ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში გამართული ცემა-ტყეპის დეტალები უკვე ცნობილია: გიგა ბოკერიას, თენგიზ გუნავას, ნიკანორ მელიას და სხვა „ნაციონალებს“, როგორც „ქართული ოცნების“ ახალი სახე, მამუკა მდინარაძე აცხადებს, გვერდები „დაუზილეს“ მათივე დეპუტატის, ზაზა კედელაშვილის ზონდერჯგუფის წევრებმა: „ბოკერიას კლანმა გაიმარჯვა მიშას კლანზე. ეს დადასტურდა ვაშაძის ამ პარტიიდან წამოსვლითაც, ეს გამოჩნდა „ნაცების“ ათეულითაც, იქ გადაწყვეტილებების მიმღები არის ბოკერია. არჩევნები ტარდებოდა ბევრგან, მაგრამ დაპირისპირება მოხდა იქ, სადაც იყო ბოკერია და მისი ჯგუფი, ეს არის მისი ხელწერა. ზონდერჯგუფის წევრები, ზაზა კედელაშვილის მეთვალყურეობით და გიგა ბოკერიას მითითებით, არეულობის მოწყობას გეგმავდნენ. დაპირისპირებაში მონაწილე „ზონდერები“ არიან: სამეგრელოს კუდ-ის ყოფილი უფროსი რუსლან შამახია; „თავისუფალი ზონის“ წევრი, რომელიც 2012 წლამდე მუშაობდა ზუგდიდის საკრებულოში – ვლადიმერ სხულუხია; ასევე, თენგიზ ჭანია, ანრი ბიჭინოვი, ილია მარტყოფლიშვილი, ირაკლი ჭანტურია და თეიმურაზ ლუტიძე“.

მდინარაძის თქმით, საარჩევნო უბანზე იყვნენ „ქართული ოცნების“ წევრი სპორტსმენები. „ზონდერები“ მივიდნენ მათთან და მიაყენეს შეურაცხყოფა.

„ნაცმოძრაობა“, თავის მხრივ, ასახელებს „ოცნების“ „ზონდერებს“. როგორც გოკა გაბაშვილმა განაცხადა, „ზონდერჯგუფს“ უშუალოდ ხელმძღვანელობდა გიორგი არეშიძე, რომელთანაც სპორტსმენები შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის დაცვის უფროსმა, გეგა გეგეშიძემ მიიყვანა: „ამ ჯგუფების უშუალო შემქმნელი და დამფინანსებელი არის ვიცე-პრემიერი კახა კალაძე. უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს გიორგი არეშიძე. სწორედ ის ქირაობს სპორტულ დარბაზს, სადაც ასეთი ცემა-ტყეპისთვის იწვრთნებიან „ზონდერები“. კახი კალაძესთან ერთად არის კობა ტყეშელაშვილი, რომელიც იმ დღეს ძალიან აქტიური და აგრესიული იყო, ხელმძღვანელობდა ამ დარბევას. ეს იგივე ტყეშელაშვილია, რომელიც გარდაბნის არჩევნებზე იყო „ქართული ოცნების“ „ზონდერების“ უფროსი. იქ არის ჯიჯა გიგაური, რომელიც არის ასევე სპორტსმენი და „ზონდერჯგუფის“ წევრი“.

გაბაშვილის თქმით, კალაძის დაჯგუფების წევრები არიან ასევე: გიგა ტყემალაძე – ბრძოლა წესების გარეშე; ვლადიმერ გეგეშიძე – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა; გიო უბილავა – მკლავჭიდის ეროვნული ფედერაცია; ნოშრევან წურწუმია – კარატეს ეროვნული ფედერაცია; ლევან დემურია, გიორგი გიგაური, ლაშა დვალიშვილი, გიორგი ყურუა, დავით ხორავა, ნიკა ჭკადუა, ნიკა ნანობაშვილი და ვახტანგ წურწუმია.

„ქართულ ოცნებას“ რომ ქრონიკული უტვინობა სჭირს და მუდმივად „ნაციონალების“ პროვოკაციებზე ეგება, ეს ვიცით, მაგრამ ასე უნიჭოდ?!

მართალია, ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე ამ ინფორმაციას სასაცილოს უწოდებს, მაგრამ საქმე არც ისე იოლადაა, როგორც თავად ჰგონია: „სასაცილოა, არ ვიცი, რამდენად სერიოზულად უნდა ვუპასუხო ამ ბრალდებას, პირადად მე და პარტია „ქართული ოცნება“ ვგმობთ, რაც მოხდა. დაწესიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ, წყაროს ნათქვამი მკითხველისთვისაც გაგვეცნო. წყაროს თქმით:

„გიგა ბოკერიას, ნიკა მელიას და საერთოდ, „ნაციონალებს“ რომ ასეთი ხელწერა აქვთ ყველამ ვიცით, ამაში რამე ახალი და უცნაური არაფერია, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ პროვოკაციას ხელი შეუწყვეს შიგნიდან, ანუ „ქართული ოცნებიდან“ იმ ადამიანებმა, რომლებსაც კახი კალაძე ენდობოდა, და მათ დაავალა საარჩევნოდ სიტუაციების დალაგება. აი, აქ იჩინა თავი ან შეგნებულმა, ან უნებლიე ღალატმა, ან უპასუხისმგებლობამ. მე ჯერ ვერ დავასახელებ, მალე გაგებს ყველა მათ სახელებს, მაგრამ ამ დარბევის ამბავში კომერციული სტრუქტურებიც იყვნენ ჩარეული, მათი შეფები საარჩევნო სიტუაციებს ალაგებენ და ვერ ვიტყვი, რატომ ენდო, ან რატომ დაავალა ასეთებს საქმის კეთება, რა სჭირს საამისო, რაში დასჭირდა, პარტიაში ასეთი საქმის გამკეთებელი არ ჰყავთ? „ქართული ოცნების“ გავლენიანი წარმომადგენლები ერთხმად აცხადებენ, რომ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ და ჩატარდეს კვალიფიციური გამოძიება. რა არის აქ გამოსაძიებელი? უკაცრავად, მაგრამ მათ ყველაფერი იციან და ამიტომაც ჩაიფსეს. კალაძის ნდობით აღჭურვილმა ერთ-ერთმა პირმა, რომელიც ხელმძღვანელობს ერთ-ერთ დიდ კომერციულ სტრუქტურას, მოხიკა ეს მოჭიდავეები და კორცხელში ჩაიყვანა... რა იყო, შე კაი კაცო, ერთი ჩვეულებრივი სოფელია, რა გჭირს ამისთანა, რისი გეშინია? ჰოდა, „ნაციონალებმაც“ ცხრიანში გაარტყეს, იცოდნენ, სადაც ჩაიყვანეს მოჭიდავეები და უცებ იქ გაჩნდნენ თვითონაც, იცის გიგა ბოკერიამ, სუნით გრძნობს, სად შეიძლება პროვოკაციის მოწყობა. გამოვიდეს ახლა კალაძე და განუმარტოს საზოგადოებას, ვის ჩააბარა საარჩევნოდ ტექნიკური საკითხების დალაგება და ვინ არის ამ ყველაფრის ორგანიზატორი, ანუ ვის თავში „მოიხარშა“ ის აზრი, რომ კორცხელში აუცილებელი იყო მოჭიდავეების ჩაყვანა“...

იგივე წყაროს თქმით, საქმე მარტივადაა, ამ ინციდენტს „ქართული ოცნებიდან“ ვიღაცა უნდა შეეწიროს და ეს იქნება კახი კალაძე. სქემა კი იგივე იქნება, რაც იყო ირაკლი ღარიბაშვილის შემთხვევაში, ანუ თავად რომ განირეს ადამიანი, ამას კარგად შეფუთავენ: „ახლა დაიწერება უამრავი რაპორტი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ევროსაბჭოს სახელზე, ამ ყველაფერს „ნაციონალები“ დაურთავენ კადრებს, მერე ამერიკის ელჩი მიბრძანდება ბიძინა ივანიშვილთან და ეტყვის, კალაძე ხელს უშლის საქართველოში დემოკრატიის განვითარებას, უნდა გადააყენოო და ისიც გადააყენებს, დაურეკავს და ეტყვის, ხვალ განცხადება დაწერეო. მის გარემოცვას არ აქვს იმდენი ჭკუა, რომ შეცდომა არ დაეშვა, იგივე მეთოდები არ გამოიყენოს, რასაც აკეთებდა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი. „ნაციონალები“ მაშინ ცოცხლდებიან, როცა ყველა დონეზე ცემა-ტყეპაა და მიწაზე ათრევენ. ასე რომ, ველოდებით კალაძისგან განმარტებებს და იმ ადამიანის დასახელებას, ვინც მას, ნებით თუ უნებლიეთ, „გაუჩალიჩა“ დიდი სკანდალი“.

შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი მღებრიშვილი აცხადებს, რომ მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება, დაიკითხნენ მოწმეები და დანიშნულია ექსპერტიზები. ის გმობს და ემიჯნება ყველანაირ ძალადობას, ვისი მხრიდანაც არ უნდა მოდიოდეს.

პრემიერ-მინისტრმა, კვირიკაშვილმა იუსტიციის სამინისტროს დაავალა, სასწრაფოდ, მთავრობის უახლოეს სხდომაზე წარადგინოს საკანონმდებლო ცვლილებები, რათა პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ძალადობის ყოველგვარ გამოვლინებაზე გამკაცრდეს სანქციები. რატომ დადგა დღის წესრიგში ეს საკითხი არჩევნებამდე 5 თვით ადრე, „ქართული ოცნება“ არ ელოდა პროვოკაციებს? რას გაიგებ, ალბათ, არ ელოდა, ამ პარტიაში ხომ ყველაფერს ვარდისფერი სათვალით უყურებენ? არადა, როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს „ალიასთან“, პროვოკაცია ამ საქმეში მაშინვე იყო ჩადებული, როცა „ოცნებამ“ თავის კანდიდატად „ნაციონალი“ ამირან ლაგვილავა წარადგინა. როცა შენი თავისა არაფერი გაგეგება და სხვისიც არ გეყურება, არჩევნებს წააგებ, აბა, რა იქნება?

სხვათა შორის, ვინც „ნაციონალები“ „დაზილა“, იმათ უთქვამთ, დაგვიჭირეთ, ციხეში ჩაგვსვით, რომ გამოვალთ, ბოკერიას, მელიას და გუნავას მაინც დავამტვრევთ ძვლებშიო. ესენი მგონი მართლა იზამენ – როგორც ამბობენ, ხან „ნაციონალების“ დავალებით ამტვრევდნენ ხალხს ძვლებში, ხან კიდევ იგივე „ნაციონალებს“ ამტვრევენ, გააჩნია, სიო საიდან უბერავს.

## საარჩევნო უბანზე ჯგუფური ძალადობა ან მუქარა, შესაძლოა, 4 წლამდე პატიმრობით დაისაჯოს

პრემიერ-მინისტრის დავალებით იუსტიციის სამინისტრომ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება მოამზადა.

როგორც იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, კოდექსს დაემატება ახალი მუხლი, რომელიც სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადს გახდის ძალადობას, ან ძალადობის მუქარას საარჩევნო უბანზე, წინასაარჩევნო აგიტაციის ან კამპანიის ადგილას, ან მიმდებარედ.

მუხლი სხვადასხვა ნაწილისგან შედგება: ჯგუფური დანაშაულის დროს გათვალისწინებული იქნება 4 წლამდე პატიმრობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირს ფიზიკური დაზიანება არ მიუღია, გათვალისწინებული იქნება ჯარიმა ან/და 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

ცვლილების პროექტს საქართველოს მთავრობა 27 მაისის სხდომაზე განიხილავს. (ipress.ge)

## დაკარგული 4 წლის ბიჭის ოჯახი ბავშვის მოტაცებაზე საუბრობს-რა ხდება ატენის ხეობაში

ატენის ხეობაში პოლიცია 20 მაისს გაუჩინარებულ ოთხი წლის ბიჭს ეძებს.

ბავშვის კვალს ამ დრომდე ვერც სამართალდამცველებმა და ვერც ოჯახის წევრებმა ვერ მიაკვლიეს. პატარა ბოლოს თანატოლებტან ერთად ნახეს, ბავშვი უბანში თამაშობდა. გაუჩინარებული ბიჭის პაპა ფიქრობს, რომ მისი შვილიშვილი მოიტაცეს.

– სულ პატარა ბავშვებთან ერთად თამაშობდა. მე მგონია, რომ მოიტაცეს. ჩასაფრებული იყო ის ვიღაცა, მანქანით ჩამოიარა და წაიყვანა ბოშურისკენ. დიდი იქ არავინ არ იყო, თორემ ან ნომერს ჩაიწერდა მანქანის ან რამეს, - აცხადებს გაუჩინარებული ბავშვის პაპა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. დაიკითხნენ ბავშვის ოჯახის წევრები და ნათესავები, სამძებრო სამუსაოები კი ამ დრომდე მიმდინარეობს. (ნიუსტუდიო)

## საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობის დაბალი მაჩვენებელია

საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 74,4 წელია. ამის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოხსენებაშია ნათქვამი.

მოხსენების თანახმად, 2000-დან 2015 წლამდე პერიოდში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში მკვეთრად, 5 წლით გაიზარდა, თუმცა ამ მხრივ სერიოზული უთანასწორობაა როგორც ქვეყნებს შორის, ისე თავად ქვეყნებში.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში საქართველოს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია — სომხეთში საშუალოდ 74,8 წელს ცოცხლობენ, აზერბაიჯანში კი – 74,7 წელს.

ევროპის რეგიონში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შვეიცარიაში დაფიქსირდა (83,4 წელი). ქალებისთვის ყველაზე დიდხანს სიცოცხლის პირობები იაპონიაშია, სადაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მათთვის 86,8 წელია, მამაკაცებისთვის კი (81,3 წელი) შვეიცარიაში. (speqtri.ge)

## „შემიძლია, პირდაპირ დაგასახელო ორი გვარი, რომელიც ამ უმძიმეს, ბინძურ პროვოკაციაზეა პასუხისმგებელი“

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე „კორცხელის დაპირისპირებაზე პასუხისხმგებელი პირების გვარებს ასახელებს“.

მისი თქმით, ესენი არიან - გიგა ბოკერია და ნიკა მელია.

ირაკლი კობახიძის თქმით, სწორედ მათ დაიწყეს ვითარების ესკალაცია.

– ჩვენი მხარდამჭერები მობილიზებულები იყვნენ მხოლოდ პრევენციის მიზნებისათვის, რომ არ მომხდარიყო ჩვენი ამომრჩევლების დაშინება. მოგეხსენებათ, „ნაციონალურ მოძრაობას" საარჩევნო უბანთან ბიტებით შეიარაღებული 15 კაციანი ზონდერ ჯგუფი ჰყავდა. ერთადერთი შემთხვევა ფიქსირდება, როდესაც ჩვენს მხარდამჭერს ხელში უჭირავს ბიტა. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ ეს ბიტა წაართვა ამ კონკრეტულმა აქტივისტმა „ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერს.

ეს იყო ძალიან მძიმე პროვოკაცია. პირველი შემთხვევა არ არის. კარგად მოგეხსენებათ, გარდაბანში მთელი საარჩევნო პროცესი ძალიან მშვიდად წარიმართებოდა, მაგრამ შვიდ საათზე „ნაციონალურმა მოძრაობამ" მაინც მოახერხა სპექტაკლის დადგმა იმისათვის, რომ ჩრდილი მიეყენებინა საარჩევნო პროცესისთვის. ზუსტად იგივე, მარგინალური სტილით აგრძელებენ მუშაობას, - აღნიშნა აღმასრულებელმა მდივანმა. (pia.ge)

## „საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით სოციალურად დაუცველ აბიტურიენტებს ზოგადი უნარების გამოცდისთვის უფასოდ მომზადება შეეძლებათ

„საქართველოს ბანკისა“ და კომპანია „ნებულას“ შორის თანამშრომლობის შედეგად, სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე აბიტურიენტებს პლატფორმა nebula.ge-ზე გამოცდისთვის სრულიად უფასოდ მომზადების საშუალება ექნებათ. ყველა აბიტურიენტს, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაშია“, „საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით საშუალება აქვს, ონლაინკურსზე სრულიად უფასოდ დარეგისტრირდეს და ეროვნული გამოცდებისთვის მოემზადოს.

– ჩვენთვის, როგორც ბანკისთვის, ახალგაზრდების განათლება მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, რომ სწორედ ამ პერიოდში, აბიტურიენტები ემზადებიან და ეს პროცესი გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. საშუალოდ, 38 ათასი აბიტურიენტიდან 7 ათასი სოციალურად დაუცველია და დღეიდან ყველა იმ აბიტურიენტს, რომელსაც ჯანდაცვის სამინისტროს ბაზაში სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს, შეეძლება nebula.ge-ზე დარეგისტრირდეს და ზოგად უნარებში უფასოდ მოემზადოს. ბანკის სახელით მადლობას ვუხდით „ნებულას“, რომ ამ პროექტის დაფინანსების საშუალება მოგვცა და მოხარული ვართ, რომ ახალგაზრდების განათლებას ხელს შევუწყობთ, – განაცხადა **„საქართველოს ბანკის“ სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულების ხელმძღვანელმა ბორის კიკნაძემ.**

საგანმანათლებლო ონლაინპლატფორმა nebula.ge კომპანია „ნებულას“ აკადემიური გუნდისა და ტექნიკური ჯგუფის თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა, რომელიც აბიტურიენტებს მისაღები გამოცდებისთვის უფასოდ მომზადების შესაძლებლობას აძლევს. კერძოდ, ზოგადი უნარების გამოცდისთვის, რომელიც ყველა აბიტურიენტისთვის სავალდებულოა.

– „ნებულა“ არის ინოვაციური, საგანმანათლებლო პლატფორმა აბიტურიენტებისთვის. არის ვიდეოგაკვეთილები, სავარჯიშოები და გამოცდის იმიტაცია. ვიდეოგაკვეთილები ზოგადი უნარების სრულ კურსს მოიცავს – ეს არის ყველა ის საკითხი თუ საგანი, რომელიც შეიძლება დასჭირდეს აბიტურიენტს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის. როცა ამ საიტს ვადგენდით, არა მხოლოდ ლექტორებისა და პედაგოგების, არამედ აბიტურიენტების რჩევებიც გავითვალისწინეთ და ისინიც ჩავრთეთ. აბიტურიენტები არიან სამიზნე აუდიტორია და მათზე უნდა იყოს მორგებული. არის მათემატიკური და ვერბალური ნაწილი და იმის მიხედვით, რომელი სჭირდება აბიტურიენტს, შეუძლია შევიდეს და იმეცადინოს. სავარჯიშო გარემო ძალიან მარტივია, დაყოფილია კატეგორიებად. ყველაფერია იმისთვის, რომ აბიტურიენტმა საკუთარი უნარები დახვეწოს. გარდა ამისა, გვაქვს გამოცდის იმიტაცია – ეს არის სრული სამსაათიანი ტესტი, ზუსტად ისეთი, როგორიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე იქნება. სწორ პასუხებს ვერ ნახავს, ვერც გამორთავს, ვერც დააპაუზებს. როდესაც დაასრულებს წერას, შემოდის შემდეგი ნაწილი, ეს არის „ნებულას“ ანალიტიკური ალგორითმი, ერთგვარი ხელოვნური ინტელექტი, რომელიც მაქსიმალურ ინფორმაციას იღებს მომხმარებელზე. იგებს, რაზე დახარჯა აბიტურიენტმა მეტი დრო, რაზე გასცა სწორი პასუხი, რაზე – არასწორი პასუხი, რა გაუჭირდა ყველაზე მეტად. ვთქვათ, დაწერა ერთ-ერთი ტესტი და აღმოჩნდა, რომ ის ამოცანები, სადაც წილადები ერია, თითქმის ყველა არასწორადაა. „ნებულას“ ალგორითმი ამას ხვდება და როცა მომხმარებელი ტესტის დაწერის შემდეგ, ვიდეოგანყოფილებაში შევა, ყველზე მაღლა წილადებს განყოფილება იქნება. საიტი ხვდება და ალაგებს პრიორიტეტებს, ანუ საჭიროა წილადებზე უფრო მეტი მეცადინეობა, – აღნიშნა **„ნებულას“ აღმასრულებელმა დირექტორმა სანდრო დოლიძემ.**

„ნებულას“ ყველა მოსწავლეს საშუალება აქვს, მიიღოს 10 ათასი ლარი მხოლოდ საკუთარი ცოდნის გამო. „ნებულას“ მოსწავლეებს შორის, ვინც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ყველაზე მაღალ ქულას მიიღებს, აღნიშნული თანხა ჩაერიცხება. ეს თანხა ან სწავლის დაფინანსებას მოხმარდება, ან თუ გრანტი აქვს, თანხა 4 წლის განმავლობაში სტიპენდიის სახით გადაერიცხება.

თუ მოსწავლე „ნებულასთან“ ერთად ინტენსიურად მუშაობს, 2 თვე სავსებით საკმარისია, რომ ზოგადი უნარებისთვის მოემზადოს.

– ჩვენ ჯანდაცვის სამინისტროსთან ვთანამშრომლობთ. აბიტურიენტი დარეგისტრირებისას ავსებს ანკეტას, სადაც პირადი მონაცემები შეჰყავს, შემდეგ ჩვენ მის მონაცემებს ჯანდაცვის სამინისტროსთან გადავამოწმებთ და 5 სამუშაო დღეში ვაწვდით პასუხს, შეუძლია თუ არა „ნებულას“ კურსით ისარგებლოს, – განაცხადა სანდრო დოლიძემ.

„საქართველოს ბანკთან“ თანამშრომლობის შედეგად სოციალურად დაუცველი აბიტურიენტებისთვის უფასო პლატფორმასა და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა გაიზრდება.

*დარინა ქამადაძე*

# რატომ დასჭირდა ხელისუფლებას საარჩევნოდ სისხლის სამართლის კოდექსის გამკაცრება, როცა მოქმედსაც კი არ იყენებს?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

ხელისუფლება სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანას აპირებს, ოღონდ, ეს კორცხელში მომხდარი ჩხუბის გამო არ ხდება. როგორც გაირკვა, პრემიერ კვირიკაშვილს იუსტიციის სამინისტროსთვის ამ ცვლილების მომზადება ჯერ კიდევ ორი კვირის წინ დაუვალებია და სამინისტრომაც მომამზადა, რომლის თანახმადაც, საარჩევნო უბანთან ძალადობა ან ძალადობის მუქარა სისხლის სამართლის კოდექსით დაისჯება. ჯგუფური დანაშაულის დროს სანქცია 4 წლამდე პატიმრობა იქნება, ხოლო თუ პირს ფიზიკური დაზიანება არ მიუღია, გათვალისწინებული იქნება ჯარიმა ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

რიგითი მოქალაქის პოზიციიდან რასაც ვუყურებ, ხელისუფლების ეს ინიციატივა საღ აზრს ნამდვილად მოკლებულია. რა საგანგებო ცვლილებები და გამკაცრება აგიტყდათ, საგარეჯოს არჩევნებში ყირაზე იარეს და რაც დღეს მოქმედებს, ის გამოიყენეთ? დასაჯეთ ვინმე მოქმედი კანონით? ჰოდა თუ არ გამოიყენებ, რა აზრი აქვს ცვლილებებს?

იმავე კორცხელში მომხდარი ჩხუბის კადრები გავრცელდა ტელევიზიით, ჩხუბში მონაწილე ადამიანები იდენტიფიცირებულნი არიან, დააკავე დამნაშავე ვინც არის და დასაჯე, თუმცა უკვე მესამე დღე გავიდა და შსს ჯერ ისევ ადგილზე „ბუქსაობს“. ისე, სადაც სამართალია, არც ერთი მაგ ბიჭებიდან დასაჭერად არ მემეტება, „ნაცებმა“ ხურდად ის მიიღეს, რასაც 9 წელი თესავდნენ და ეჭვი მაქვს, დანარჩენსაც მიიღებენ, რადგან გინებას არავინ აპატიებს.

**მოკლედ, როდესაც უკვე მოქმედი საკანონმდებლო ნორმა არ „მუშაობს“, რა საჭიროა ცვლილებების შეტანა კოდექსში?**

**„ალიას“ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი, იურისტი კახა კუკავა ესაუბრა:**

**— კახა, რას იტყვით ხელისუფლების ინიციატივაზე, რომ არჩევნების პროცესში ძალადობა და მუქარა სისხლის სამართლის წესით დაისჯება?**

– ხელისუფლებაში არ არის არც ერთი ადამიანი, რომელიც კარგ გადაწყვეტილებებს მიიღებს, ასეთი გადაწყვეტილებების გარეშე კი არც ერთი სახელმწიფო არ აშენდება. ვერ გავიგე, რა შუაშია სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანა არჩევნებთან დაკავშირებით? მოხდა დანაშაული? დამნაშავე უნდა დაისაჯოს მოქმედი კანონმდებლობით. სასჯელი ძალიან მკაცრია ისეთ დანაშაულზე, რაც კორცხელში მოხდა. ეს ნორმალურ ქვეყანაში რომ მომხდარიყო, დავუშვათ, გერმანიაში, ბრიტანეთში, ისრაელში, თურქეთში, სამართალდამცავი ორგანოები მყისიერად დააპატიმრებდნენ დანაშაულში მონაწილე პირებს, მერე სასამართლო გადაწყვეტდა მათი ბრალეულობის ხარისხს და ამით დასრულდებოდა ყველაფერი. ჩვენთანაც, საშუალო რანგის პოლიციელი „კორცხელის საქმეს“ აქამდე გახსნიდა, დამნაშავეებს ციხეში გაუშვებდა და მორჩებოდა ყველაფერი. თუმცა, ჩვენს სამართალდამცავებს ამის გაკეთება არ შეუძლიათ, რადგან ისინი პოლიტიკური გავლენის ქვეშ არიან. პოლიტიკურ ხელმძღვანელთაგან კი იმის ნება არავის აღმოაჩნდა, რომ საკუთარი ხალხი დააკავოს, „ქართული ოცნების“ „ზონდერჯგუფებს“ პასუხი აგებინოს. ახლა ესენი დგანან და ნაცარს ქექავენ. ვინც კორცხელში იჩხუბა, ის ხალხი იდენტიფიცირებულია, სახეზე არიან დაზარალებულნი, არსებობენ მოწმეები და ხელისუფლებას აბსოლუტურად ყველაფერი აქვს საიმისოდ, ეს ხალხი დასაჯოს. კოდექსში ცვლილებების შეტანა არის ძალიან დიდი აბსურდი, რას ჰქვია საარჩევნო უბანთან ძალადობა განსაკუთრებულად და მკაცრად უნდა დაისაჯოს? ვისაც ეკლესიასთან, მაღაზიასთან, ქორწილში და ქელეხში სცემენ, ის დამნაშავენი რატომ უნდა დაისაჯონ შედარებით მსუბუქად და საარჩევნო უბანთან მოჩხუბრები უფრო მკაცრად? მაშინ კოდექსში ისიც ჩავწეროთ, რომ ქელეხში, ქორწილში, რესტორანში, ეკლესიასთან ძალადობა დაისჯება მსუბუქად.

**— ხუმრობის ხასიათზე მომიყვანეთ... ბარემ ადგნენ და ახალი საარჩევნო სისხლის სამართლის კოდექსი მიიღონ, ორი კოდექსი გვქონდეს, ერთით არჩევნების პროცესში ვიხელმძღვანელოთ, მეორეთი — არჩევნებს შუა პერიოდებში...**

– აი, ეგ აზრი რომ დაგებადათ, უკვე იმის ნიშანია, რომ ხელისუფლება ისეთ სისულელეებს აკეთებს, რომ სერიოზულად არც კი შეიძლება მათ ბევრ გადაწყვეტილებაზე მსჯელობა, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ გეცინება კაცს და იუმორის ხასიათზე გაყენებს. არანაირი ცვლილებები არ არის საჭირო კოდექსში, კანონში ყველაფერი საკმაოდ ნორმალურადაა ჩამოყალიბებული, შესაბამისი კვალიფიკაცია უნდა მისცენ იმ დანაშაულს, რაც კორცხელში მოხდა და ეს სრულიად საკმარისია. რაც მოხდა, ეს იყო ბანდიტური თავდასხმა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, სახელმწიფო პოლიტიკური პირის დაკვეთით, ეს დანაშაული ისედაც სისხლის სამართლის ხასიათისაა და თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ხელისუფლებას სწორედ ამ მუხლით უნდა აღეძრა საქმე და ყველაფერი რიგზე იქნებოდა. ესენი ადგნენ და ცემის მუხლით აღძრეს საქმე, რაც მხოლოდ ფულად ჯარიმას ითვალისწინებს. კოდექსში ცვლილებების შეტანა კი არა, მუხლის შეცვლა და დამნაშავეთა მკაცრად დასჯაა საჭირო და ამას ხელისუფლება არ აკეთებს, მის მიერვე გაგზავნილი ხალხის იოლად დაძვრენა უნდა.

> „მმართველი გუნდი ვეღარ ინარჩუნებს ხელისუფლებას და დაადგა ძალადობრივ გზას. ასე იყო შევარდნაძე, ასე იყო სააკაშვილი და ესენიც იმავე გზით მიდიან. დაუკვირდით, არც 2013 წელს საპრეზიდენტო და არც 2014 წელს თვითმმართველობის არჩევნებზე, „ქართულ ოცნებას“ ამგვარი ჯგუფები არ გამოუყენებია, რადგან არჩევნების წაგების საფრთხე არ ჰქონდა. დაუდგა თუ არა არჩევნების წაგების საშიშროება, ეგრევე ძალადობასა და გაყალბებაზე გადავიდა“

ამ მოჭიდავეებმა დაღუპეს „ნაცმოძრაობა“, რომელიც „ქართულ ოცნებაზე“ ბევრად ძლიერი იყო. მოჭიდავეებზე რომ მიგიდგება საქმე, ეს უკვე არის სამედიცინო დასკვნა, რომ ხელისუფლებას აქვს კიბო და მეტასტაზები ნელ-ნელა ედება მთლიანად სახელისუფლებო სხეულს. მმართველი გუნდი ვეღარ ინარჩუნებს ხელისუფლებას და დაადგა ძალადობრივ გზას. ასე იყო შევარდნაძე, ასე იყო სააკაშვილი და ესენიც იმავე გზით მიდიან. დაუკვირდით, არც 2013 წელს საპრეზიდენტო და არც 2014 წელს თვითმმართველობის არჩევნებზე, „ქართულ ოცნებას“ ამგვარი ჯგუფები არ გამოუყენებია, რადგან არჩევნების წაგების საფრთხე არ ჰქონდა. დაუდგა თუ არა არჩევნების წაგების საშიშროება, ეგრევე ძალადობასა და გაყალბებაზე გადავიდა. მიხეილ სააკაშვილმა 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას იძალადა და არჩევნები გააყალბა, რადგან ეს არჩევნები წააგო. 2004 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ისე ჩაატარა, ბეწვი არავის ჩამოვარდნია, არც გაუყალბებია, რადგან იცოდა, რომ მოიგებდა. ესენიც ამ გზით მიდიან ზუსტად. ორი არჩევნები უპრობლემოდ მოიგეს, მაგრამ ახლა, როცა დაინახეს, რომ ვეღარ მოიგებდნენ, ძალადობაზე გადავიდნენ. ეს უკვე ძალიან საშიშია. აქედან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შემოდგომით საპარლამენტო არჩევნებისას ხელისუფლება არც ძალადობას დაერიდება და არც გაყალბებას.

მეტასტაზები ვახსენე და ეს მეტასტაზები თუ გადაედო მთელ სახელისუფლებო გუნდს, მაშინ ძალადობა ამათი მართვის მეთოდი გახდება და ბევრ უბედურებას დააატრიალებენ. სანდრო გირგვლიანის მკვლელობამდე უცებ და ერთ დღეში არ მისულან „ნაციონალები“ და მიხეილ სააკაშვილი. თავიდან ამგვარი ჯგუფებით ძალადობდნენ ხალხზე, საკუთარ მომხრეებს არ სჯიდნენ და ეს დაუსჯელობის სინდრომი ყველას დაემართა, ვინც ხელისუფლებაში იყო, ან მათი აქტიური მხარდამჭერი გახდა. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ სანდრო გირგვლიანი მოკლეს ხელისუფლების უმაღლესი პირების დაკვეთით და არც ისინი დაიჭირეს. დათა ახალაია, ვასილ სანოძე და ამ საქმეში გარეული სხვა პირები სააკაშვილს რომ მკვლელობიდან მეორე დღესვე დაეჭირა, ამით მის რეიტინგს არაფერი დააკლდებოდა, პირიქით, ხალხი იტყოდა, მკვლელები სამართლიანად დასაჯა, თავისიანებიც არ დაინდოო და ეს რეიტინგი გაუმყარდებოდა. სააკაშვილმა ყასიდად დასაჯა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემსრულებლები, ხოლო დამკვეთებს ხელი დააფარა. რა მიიღო მერე ამით? ხალხის ნდობა საბოლოოდ დაკარგა, ხალხმა ამ დანაშაულზე პასუხისმგებლობა უშუალოდ მას დააკისრა და ტყუილად არ ეძახდნენ მერე მკვლელსა და სისხლიან დიქტატორს. ამის შემდეგ კი ძალადობა სააკაშვილის გუნდისთვის ნორმად იქცა, ეს მანქანა უკვე ვეღარ შეაჩერა, ყველა ძალისმიერ სისტემაში ნორმად იქცა ძალადობა და ამას გადაჰყვა კიდეც მისი ხელისუფლება. ეს უნდა გაითვალისწინოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, თუ არ დასაჯეს დროულად და მკაცრად კორცხელში მომხდარი ძალადობის მონაწილეები და ინიციატორები, დაუსჯელობის სინდრომი მყარად გაუჯდება ხელისუფლებას, ძალადობის მანქანას ვერც ესენი გააჩერებენ, რადგან დღემდე არავის გაუჩერებია, ხალხს ათას უბედურებას დააწევენ და მერე ხალხი მოაცილებს. ისე ნუ გაიხდიან საქმეს, რომ ხალხმა ძალით გაყაროს ხელისუფლებიდან.

ერთიც მინდა ვთქვა. ხელისუფლებისთვის ახლა მომგებიანია, რომ დასაჯოს ეს ხალხი. მარტო მტერი თუ ურჩევს ახლა „ქართული ოცნების“ ლიდერებს, რომ ეს ამ მოჭიდავეებს, რაც არ უნდა სახელოვანნი იყვნენ ისინი, სასჯელი აარიდოს.

## სოზარ სუბარი: გიგა ოთხოზორიას ოჯახს ცხოვრების ღირსეული პირობები უნდა შეეუქმნათ

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა, სოზარ სუბარმა ხურჩაში მოკლული გიგა ოთხოზორიას ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა.

მინისტრის შეფასებით, მომხდარი უდიდესი ტრაგედია და უსასტიკესი დანაშაულია.

– ჩვენ ყველანი ვდგავართ ოჯახის გვერდით. მას დარჩა შვილები, დარჩა მშობლები, ისინი უნდა ვანუგეშოთ, დავუდგეთ გვერდით, შევუქმნათ ცხოვრების ღირსეული პირობები, მათ უნდა გააგრძელონ ცხოვრება. რაც შეეხება დანაშაულს, პიროვნება იდენტიფიცირებულია, დადგენილია და ის წარსდგება სამსჯავროს წინაშე, - განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისი თქმით, მრავლი წლის განმავლობაში ხდებოდა მსგავსი დანაშაული, რაც იმ აგრესიის შედეგია, რომელიც საქართველოს მიმართ განხორციელდა.

– ეს არის ოკუპაციის შედეგი. უნდა ვეცადოთ, რომ მინიმუმადე იყოს დაყვანილი ასეთი შედეგები. ამავდროულად ყველა იმ ადამიანმა უნდა აგოს პასუხი, რომელიც მსგავს დანაშაულს ჩაიდენს, - განაცხადა სოზარ სუბარმა. (რეპორტიორი)

## დავით ებრალიძე ადასტურებს, რომ ჯავშანმანქანა „დიდგორის“ კონგოში ექსპორტის პროექტზე თავდაცვის უწყებამ უარი თქვა

თავდაცვის მინისტრის მოადგილე დავით ებრალიძე ადასტურებს, რომ ჯავშანმანქანა „დიდგორის“ კონგოში ექსპორტის პროექტზე თავდაცვის უწყებამ უარი თქვა. დავით ებრალიძე, რომელიც თავდაცვის სამინისტროში შესყიდვების საკითხებს კურირებს, მიზეზად პროექტის მოუმზადებლობას ასახელებს.

– ამ პროექტზე უარი ითქვა იმიტომ, რომ იყო არასწორი და დაუგეგმავი პროექტი. მოუმზადებელი იყო, მიუღებელი პირობებით. ამიტომ მასზე უარი ვთქვით. რამდენიმე ვარიანტი იყო - ერთი კონგო, მეორე ის პროექტი, რომელიც საუდის არაბეთში განხორციელდა. ჩვენ არჩევანი გავაკეთეთ მეორეზე, - განაცხადა ებრალიძემ.

მისივე თქმით, თუ ზემოაღნიშნული პროექტი დაიხვეწა, თავდაცვის სამინისტრო მას მიუბრუნდება. ამასთან, ებრალიძე აცხადებს, რომ „დელტას“ ხელმძღვანელ უჩა ძოძუაშვილის თანამდებობიდან გადაყენება ქართული წარმოების სამხედრო მანქანების ექსპორტთან დაკავშირებულ უთანხმოებას არ უკავშირდება და ამის მიზეზი სეტყვისსაწინააღმდეგო ტექნიკის მუშაობის შეფერხებაა.

ინფორმაცია, რომ „დელტას“ შესაძლოა, „დიდგორის“ ტიპის ჯავშანმანქანები კონგოში გაეყიდა, ინტერნეტსივრცეში გავრცელდა. საქართველოში იმყოფებოდნენ კონგოს წარმომადგენლებიც და მათთვის ჯავშანტექნიკის ჩვენება მოეწყო, თუმცა კონტრაქტს ხელი არ მოეწერა. (ინტერპრესნიუსი)

## ლადო პაპავა მეცნიერებათა აკადემიის შესახებ კანონში ცვლილებებზე - რას გაძლევთ არჩევნების წინ ეს დაპირისპირება

– რას გაძლევთ არჩევნების წინ ეს დაპირისპირება?! — აღნიშნული შეკითხვა აკადემიკოსმა ლადო პაპავამ განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" შესახებ კანონში მომზადებულ ცვლილებებთან დაკავშირებით დასვა.

პაპავამ ინიცირებულ პროექტთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნები დააფიქსირა და მმართველ გუნდს მიმართა, ახალი პარლამენტის შეკრებამდე კანონი არ მიიღონ.

პაპავას განმარტებით, პირადად ის მეცნიერებათა აკადემიის ფარგლებში სტიპედიანტის ინსტიტუტის წინააღმდეგი არ არის და ასეთ პრაქტიკას მსოფლიოს ბევრი აკადემია იცნობს, მაგრამ მისივე თქმით, სტიპენდიის მიმღები მართლა ახალგაზრდა მეცნიერი უნდა იყოს - 35 წლამდე ასაკის პირი, ხოლო წევრკორესპონდენტის ინსტიტუტი უნდა შენარჩუნდეს.

გარდა ამისა, როგორც პაპავამ განაცხადა, აკადემიის ვიცეპრეზიდენტების რაოდენობა უნდა დაადგინოს არა კანონმა, რასაც ინიცირებული პროექტი ითვალისწინებს, არამედ აკადემიის საერთო კრებამ და აკადემიის წესდებამ.

რაც შეეხება აკადემიის ხელმძღვანელებისათვის პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტისთვის ასაკობრივი ზღვარის შემოღების ინიციატივას, მისი აზრით, აღნიშნული ცენზის დაწესების შემთხვევაში, კრიტერიუმი გახდება არა ის, რომ აკადემიის პრეზიდენტად დამსახურებული კაცის არჩევა მოხდეს, არამედ ის, რომ აკადემიის პრეზიდეტად არჩეული იყოს მეტ-ნაკლებად დამსახურებული - ოღონდ ახალგაზრდა, რაც პაპავას თქმით, პრინციპულად არასწორია.

– ძალიან ბევრი ადამიანი მეცნიერებაში დამსახურებას სოლიდურ ასაკში აღწევს. მეცნიერებაში აღიარება გვიან ხდება, - აღნიშნა პაპავამ, რომელიც პარლამენტში ინიცირებულ ცვლილებებში პიროვნეულ ფაქტორებს ხედავს. (ინტერპრესნიუსი)

სოციალური პროექტი

# გიდიმრჩენ L

**“იმედი L-მა” ახალი სოციალური პროექტი წამოიწყო, რომელიც მიზნად ისახავს დამამთავრებელ კლასებში პირველადი სამედიცინო დახმარების შესახებ ცოდნის ამაღლებასა და გარკვეული უნარ-ჩვევების სწავლებას.**

პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგები ეტაპობრივად თბილისის ყველა კერძო სკოლაში ჩატარდება. გარდა სატრენინგო კურსისა, სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ მონაწილეობა ლიტერატურულ კონკურსში, რომელიც „სამედიცინო დახმარების თემატიკას“ მიეძღვნება, კერძოდ, მოსწავლეებს შეეძლებათ დაწერონ მოთხრობა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

საუკეთესო მოთხრობებს კი წლის ბოლოს სპეციალური ჟიური გამოავლენს და “იმედი L” მათ წიგნად გამოსცემს. ასევე, გამოვლინდება სამი გამორჩეული მოთხრობა და მათ სპეციალური საჩუქრები: Iphone 6 და Kindle გადაეცემათ.

გიდიმრჩენ L+

## საბერძნეთში საქართველოს 2 მოქალაქე ტრაგიკულად დაიღუპა

საბერძნეთის დედაქალაქში საქართველოს ორი მოქალაქე ტრაგიკულად დაიღუპა.

ათენში ქართველი ემიგრანტი ლეილა თავწკრიალაშვილი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. მას მოტოციკლისტი დაეჯახა, რის შემდეგაც საავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

საბერძნეთის ერთ-ერთ კუნძულზე, უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა „კახეთი ტურის" თანამშრომელი, ლევან ხმიადაშვილი. მას ათენში მეუღლე და 2 მცირეწლოვანი შვილი დარჩა. (kvira.ge)

## ლარი დოლართან მიმართებაში გაუფასურდა

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში მცირედით გაუფასურდა. კერძოდ, 25 მაისისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,1474 ლარი გახდება. კურსი, რომელიც აქამდე მოქმედებდა, 2,1459 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0015 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,4014 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2,4045 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0031 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

## ხურჩაში მოკლული ოთხოზორიას ოჯახს ბინა გადაეცემა

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ლევან შონის განცხადებით, ხურჩაში მოკლული გიგა ოთხოზორიას ოჯახს ბინა გადაეცემა. ამასთან, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მთლიანდ გაიღებს დაკრძალვის ხარჯებსაც.

19 მაისს, ხურჩა-ნაბაკევის ადმინისტრაციულ ზოლზე საკონტროლო-გამშვები პუნქტის სიახლოვეს ოკუპანტების წარმომადგენლის მიერ მოკლულ გიგა ოთხოზორიას 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაკრძალავენ. (ნიუპოსტი)

## კანონიერ ძალაში შესული განაჩენი შესაძლოა, პროკურატურის დადგენილებით გადაისინჯოს

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ინიციატივით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესაძლოა, ცვლილებები შევიდეს, რომლის მიხედვითაც კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადასინჯვის საფუძვლები ფართოვდება, მათ შორის პროკურატურის დადგენილების შემთხვევაში, სასამართლოს უფლება ექნება, საქმეს ხელახლა გადახედოს.

თემაზე კომენტარი კომიტეტის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა გააკეთა. მისი თქმით, აღნიშნული ცვლილება პროცესს აჩქარებს და ამარტივებს:

– ჩვენ მოვძებნეთ ფორმულა, როცა ისევ სასამართლო შეამოწმებს ამ ამბავს, მაგრამ არა ცალკე, არამედ სხვა მტკიცებულებებთან ერთად. თუ მოსამართლეს შეექმნება რწმენა, რომ პროკურატურის მიერ დადგენილი ადამიანის უფლებების არსებითად დარღვევა, როგორც ფაქტი და სხვა მტკიცებულებები, რომელიც საქმეში არის, ერთობლივად შეიძლება იყოს განაჩენის სრულად ან ნაწილობრივ შეცვლის საფუძველი, ისევ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში ეს მიდის პირდაპირ სააპელაციო სასამართლოში, რაც ჩვენი მოქალაქეებისთვის აჩქარებს პროცესს და ამარტივებს, - განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

დადებითად აფასებს ცვლილებებს „რესპუბლიკელების" წევრი ვახტანგ ხმალაძეც. მისი თქმით, აღნიშნული ცვლილება ადამიანებს საშუალებას მისცემს, შელახული უფლებები აღიდგინოს:

– ეს მიდგომა საშუალებას მოგვცემს, თავი დავიზღვიოთ დაუსაბუთებელი საჩივრებისგან და მეორე მხრივ, თუკი პირის უფლებები იყო შელახული, აღდგეს ამ პირის უფლებები და იზეიმოს სამართალმა, - აღნიშნა ხმალაძემ. (ნიუპოსტი)

## ეროვნულმა ბანკმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები დააჯარიმა

ეროვნული ბანკის ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები შეამოწმა და რამდენიმე მათგანი დააჯარიმა. ამის შესახებ ინფორმაცია „კომერსანტს" წყარომ მიაწოდა, რომელმაც განგვიცხადა, რომ შემოწმებების შედეგად, რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია 100-100 ათასი ლარით დაჯარიმდა. წყაროს თხოვნით, ორგანიზაციების დასახელებას არ ვამჟღავნებთ.

ჩვენი ინფორმაციით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმასაც აპირებენ. მათ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა აქვთ.

დაჯარიმების შესახებ ინფორმაციას მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციაშიც ადასტურებენ.

გამგეობის თავმჯდომარის ბესო შენგელიას თქმით, ორგანიზაციები დაავალდებულეს, რომ მათი დაჯარიმებისა და კონკრეტული ხარვეზების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ არ გააჟღერონ. აქედან გამომდინარე, ბესო შენგელიას მონიტორინგის სამსახურის კეთილსინდისიერებაში ეჭვი ეპარება და ამ საკითხის განხილვას ასოციაცია ბიზნესომბუდსმენთან და ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან აპირებს.

ეროვნულ ბანკშიც ადასტურებენ, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოწმება ნამდვილად მოხდა და რიგი დარღვევების გამო დააჯარიმეს კიდეც. თუმცა სებ-ში არც ორგანიზაციების სახელწოდებებს, არც ჯარიმის მოცულობასა და არც მიზეზებს არ ასახელებენ და განმარტავენ, რომ ამ საკითხების შესახებ მედიისთვის ინფორმაციის მიწოდება თავად მისო-ებს შეუძლიათ. (commersant.ge)

## სასჯელის გამკაცრებაზე საუბარი არის თავის მართლების მცდელობა - ბაქრაძე კკორიკაშვილის ინიციატივაზე

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, დავით ბაქრაძე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივას ეხმაურება, რომლის თანახმადაც საარჩევნო უბანთან ძალადობა ან ძალადობის მუქარა სისხლის სამართლის კოდექსით დაისჯება.

ბაქრაძე მიიჩნევს, რომ ზომების გამკაცრებამდე, არსებული სანქციებით და სასჯელით უნდა დაისაჯნონ ის ადამიანები, ვინც კორცხელში ძალადობა განახორციელა.

– კორცხელის ინციდენტის შემდეგ სამი დღე გავიდა და არც ერთი ის ადამიანი, ვინც იდენტიფიცირებულია, ვისი სახელიც გვარიც ყველამ იცის და ვინც ყველამ დაინახა, არ არის დაკავებული და დაკითხვაზე დაბარებულიც კი. ასეთ პირობებში საუბარი იმაზე, რომ თურმე პარლამენტმა კანონი უნდა შეცვალოს და სასჯელი გამკაცრდეს, სრულიად არაადეკვატურია. კი ბატონო, სასჯელი უნდა გამკაცრდეს, მაგრამ დღევნდელი სანქციით უნდა დაისაჯნონ ის ადამიანები, ვინც სისასტიკე ჩაიდინა. იმ პირობებში, როდესაც ეს არ ხდება და როდესაც არც ერთი მათგანი არ არის დაკავებული, სასჯელის გამკაცრებაზე საუბარი არის საკითხის გვერდზე გადატანა და თავის მართლების მცდელობა, - განაცხადა ბაქრაძემ. (ნიუპოსტი)

## 2 გარდაცვლილი და 1 დაშავებული - აჭარია ხაშურში

ხაშურში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ორი ახალგაზრდა მამაკაცი ემსხვერპლა. კიდევ ერთის მდგომარეობა კრიტიკულია. გარდაცვლილი ახალგაზრდების ასაკი 25-28 წელია.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით დაიწყო, რაც საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს, რომელმაც მსხვერპლი გამოიწვია.

– დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები, ავარიის გამომწვევ მიზეზს გამოძიება დაადგენს, - აცხადებენ მღებრიშვილის უწყებაში. (ნიუპოსტი)

## ჩემთვის ქართველ სამხედროებთან ერთად, ნებისმიერ ადგილზე სამსახური საამაყოა - აშშ-ის არმიის ევროპული ჯარების სარდალი

ვაზიანის პოლიგონზე ქართულ-ამერიკული სწავლება დასრულდა. წვრთნაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებმა ერთობლივი ოპერაცია - ობიექტზე შეტევის ამოცანა შეასრულეს. პროცესში ჩართული იყო ქართული და ამერიკული ჯავშანტექნიკა, ავიაცია და არტილერია.

ვაზიანის პოლიგონზე საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენშტაბის უფროსი, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და „ნაციონალურო მოძრაობის" წევრები იმყოფებოდნენ.

სწავლებამ „ღირსეული პარტნიორი 2016" მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ამერიკელი, ასევე, ნატოს სამხედრო მაღალჩინოსნებისგან.

– არის თუ არა საქართველო მზად ნატოს წევრობისთვის, ეს პოლიტიკური პროცესია, ჩემთვის კი ქართველ სამხედროებთან ერთად, ნებისმიერ ადგილზე სამსახური საამაყოა, - განაცხადა აშშ-ის არმიის ევროპული ჯარების სარდალმა, ბენ ჰოჯესმა. (ნიუპოსტი)

## „შეურაცხყოფას რომ მოგაყენებენ, საკადრის პასუხს გასცემ" — კორცხელის ინციდენტის მონაწილე სპორტსმენი

კორცხელის ინციდენტის მონაწილე სპორტსმენმა ლადო გეგეშიძემ დაკითხვაზე შესვლამდე კომენტარი გააკეთა.

– შეურაცხყოფას რომ მოგაყენებენ, საკადრის პასუხს გასცემ. ჩვენ საკადრისი პასუხი გავეცით. ხელკეტი, რომელიც მიჭირავს, მათ წავართვი და დავუბრუნე, ოღონდ სხვა ფორმით. გავიგე ასეთი ქაოსი და გაუგებრობა იყო, თვითონ „ოცნება" არ ჩავაყენე უცხერხულ მდგომარეობაში. გასული ვიყავი ქალაქიდან, ჩამოვედი და ჩემი ინიციატივით მოვედი. დიდი ხანია, „ქართული ოცნების" მხარდამჭერი ვარ. 2012 წელს ზუგდიდშიც ვიყავი, კორცხელშიც ჩემი ინიციტივით ჩავედი, რად უნდა ამას თხოვნა, — განაცხადა ლადო გეგეშიძემ. (kvira.ge)

# ვის და რის გამო დაიწყო კორცხელში ჩხუბი?

## რას უყვება თვითმხილველი „ალიას“

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33

კორცხელში მომხდარი ცემა-ტყეპის შემდეგ, სამი დღის მანძილზე უპასუხოდ რჩებოდა კითხვა: რამ გამოიწვია დაპირისპირება, რის გამო დაიწყო ჩხუბი? „ზონდერებად“ მონათლული ინციდენტის მონაწილეები ამ საკითხზე კონკრეტული საუბრისგან თავს იკავებდნენ და როგორც იქნა, გუშინ კითხვას პასუხი გაეცა. ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილის, კობა ტყეშელაშვილის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ დაიწყო პროვოცირება, ქვების სროლა, „ბიტების“ ჩარტყმა, ერთ სპორტსმენს თავი გაუტეხეს და ამას მოჰყვა ჩხუბი. „ვარ „ქართული ოცნების“ წევრი 2012 წლიდან და ამიტომ ვიმყოფებოდი კორცხელში. მანამდე სხვა რეგიონებშიც ვიყავით და იქ ინციდენტი არ მომხდარა, რადგან იქ არ იყო ნიკა მელია. ჩვენ არ ვართ დამნაშავეები, რასაც თვითხილველები დაადასტურებენ“, – აღნიშნა ტყეშელაშვილმა.

ეს გასაგებია, მაგრამ ამავდროულად, ცოტა გაურკვეველი განცხადება გააკეთა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ზუგდიდის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ბათლომე შელიამ: „სანამ დარბევა დაიწყებოდა, ყველა საჯარო მოხელეს, ვინც იქ შემხვდა ველაპარაკე და ვუთხარი, რომ სამარცხვინო სცენარი იყო დაგეგმილი და გეგმის შეცვლაზე ეფიქრათ. პირველი დაძაბულობისთანავე მივმართე მერაბ ქვარაიას, გაეყვანა ის ხალხი და ემოქმედა, როგორც ხელისუფალს. თავიდანვე ველაპარაკე პოლიციის მაღალჩინოსანს და წინასწარ ვუთხარი, რა მზადდებოდა. პასუხად მივიღე დამშვიდება. ვაკონტროლებთ სიტუაციასო“...

მისი განცხადებით, ის კოლეგებს ურეკავდა და სიტუაციის განმუხტვის მოწოდებასთან ერთად, „ბუნებრივი რეაქციით“ აგინებდა ყველას, ვინც, მისი თქმით, აღნიშნული დარბევა დაგეგმა: „საგინებლები ხართ, ვინც ეს დაგეგმეთ და სამარცხვინოები, ვინც წინ არ აღუდექით ამ ქმედებას... ირაკლი, მერაბ, ედიშერ და ლაშა, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაგეგმა, თქვენს სინდისზეა 22 მაისი“.

**„ალია“ დაინტერესდა, ვის „ამოუტრიალა კეთილები“ ბათლომე შონია და საერთოდ, საიდან იცოდა იმის შესახებ, რა მოხდებოდა საარჩევნო უბანზე?**

**— საიდან იცოდით, რა სცენარი მზადდებოდა?**

– ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, საარჩევნო უბანზე ასეთი ტიპების გამოჩენა უკვე მომასწავებელი იყო, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ამიტომ მივმართე პოლიციის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს, მერიის რამდენიმე წარმომადგენელს, საკრებულოს თავმჯდომარეს – ყველას, ვისთანაც კი შეხება მქონდა იმ რამდენიმე საათის განმავლობაში, სანამ ეს ატყდებოდა. ვუთხარი, აქ რაღაც მზადდება ისეთი, რაც ცუდად დამთავრდება და ძალიან გთხოვთ, დროზე მიხედეთ-თქო. ისინი მარწმუნებდნენ, გარანტიას გაძლევთ, არაფერი არ მოხდებაო... ვინც კი შემხვდა ორი საათის განმავლობაში იქ მდგომი, ყველას ვაფრთხილებდი, ესენი საბოლოოდ ცუდად დაამთავრებენ და დროზე მიხედეთ-მეთქი. ეს იყო ჩემი გაფრთხილება ყველას მიმართ, თუმცა რა შედეგიც დადგა, კი ხედავთ.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნიკა მელიამ თქვა პირველად რაღაც შეურაცხმყოფელი სიტყვები...**

– ტყუილია ეს, მე ნიკა მელიას გვერდზე ვიდექი, როდესაც ჩხუბი დაიწყო. იქ ჩვეულებრივი საუბარი იყო ნიკასა და მათ შორის, ის, უბრალოდ, ეუბნებოდა, რომ არ შეიძლებოდა პროვოკაციის მოწყობა და არ უნდა გადმოსულიყვნენ რაიმე პროვოკაციაზე. სწორედ ამაზე იყო საუბარი, როდესაც მათ აგრესიული მომართვები დაიწყეს და პირველი უკნიდან დაარტყეს ნიკას.

**— თქვენ კონკრეტული სახელები დაწერეთ: ირაკლი, მერაბი, ედიშერი, ლაშა... თქვენს სინდისზეა 22 მაისი — ვინ არიან ეს პიროვნებები?**

– ეს ადგილობრივი ხელმძღვანელობაა. ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე, რაიონის გამგებელი და რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე. ბუნებრივია, მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხია, მათ ქალაქში ჩამოყვანილებმა რომ დაარბიეს მათი თანამოქალაქეები. მე ვფიქრობ, მათ არავინ დაეკითხებოდა ამას, ეს უფრო ცენტრიდან ხდებოდა, მაგრამ ვის მიერაც არ უნდა ყოფილიყო პროცესი მართული, პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, მათზეა.

სულ საქართველოში ოთხ უბანზე ტარდებოდა არჩევნები და ჩვეულებრივ, დეპუტატები, პოლიტიკური ლიდერები ჩამოვიდნენ ადგილობრივი ლიდერების, კოორდინატორებისა და თუნდაც ჩვენი ამომრჩევლის მხარდასაჭერად. მეორე მხარეს მათი პოლიტიკური ლიდერები რომ დამდგარიყვნენ, კი, ბატონო, მაგრამ მეორე მხარეს იდგნენ ეს კუნთმაგარი ყოფილი თუ მოქმედი სპორტსმენები. ისინი იყვნენ, პრაქტიკულად, პასუხის გამცემნი ნებისმიერ თემაზე.

**— „ოცნებამ“ გაავრცელა რამდენიმე ადამიანის ფოტო, რომლებიც კადრებში ჩანდნენ და თქვა, — ესენი იყვნენ პროვოკატორებიო. იგივე სამეგრელოს კუდ-ის ყოფილი უფროსი რუსლან შამახია, მაგალითად...**

– იქიდან სამმა ეგრევე მიმართა პოლიციის განყოფილებას და ჩვენთან ერთად რომ იდგა ირაკლი ჭანტურია, ისიც სპორტსმენია, მაგრამ ის არის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის პოლიტსაბჭოს წევრი, რომელიც ჩვეულებრივ ყველა საარჩევნო-პოლიტიკურ პროცესშია ჩართული.

**— ზუსტად მაგაზეც თქვეს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ფოთიდან სპორტსმენები, „ბოქსიორები“ ჩამოიყვანაო...**

– სხვა არავინ, მხოლოდ ჭანტურია იყო, რომელიც ჩვეულებრივ არის პოლიტიკურ პროცესებში ჩართული.

**— მოდით, კიდევ ერთხელ დავაკონკრეტოთ: თქვენ არანაირ კონკრეტულ ინფორმაციას არ ფლობდით იმის შესახებ, რომ რამე სცენარი იყო?**

– არა, ეს იყო ჩემი ვარაუდი.

**— კორცხელში მომხდარ შეხლა-შემოხლისას იქ თუ იმყოფებოდნენ პატარები, ბავშვები? თუ სწორად მახსოვს, ირმა ნადირაშვილმა თქვა, ბავშვებიც სცემესო.**

– ბავშვი იყო, ვინც სცემეს... წარმოიდგინეთ, ჩვენი კანდიდატის შვილზე, როგორც ჩვენიანებმა დაინახეს, ვიღაც ქალმა მიუთითა, – კანდიდატის შვილიაო და ჩანს კადრებში, როგორ სცემეს. საავადმყოფოში გადაიყვანეს. ის ბავშვია, ფაქტობრივად, 19 წლის. იქ არ არჩევდნენ არავის. ვფიქრობ, „ოცნებამ“ იცოდა, რომ კორცხელს აგებდა და ამ ადამიანების დახმარებით ზეწოლას ცდილობდნენ მოსახლეობაზე, რაც საპირისპიროდ შემოუბრუნდათ მათ, ან მორალური ზეწოლით უნდოდათ ვინმეს დაშინება. ის, რომ პოლიტიკურად ძალიან სულელური ნაბიჯი გადადგა იმან, ვინც ეს დაგეგმა, ფაქტია.

**— ასეთი დარბევები „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ხდებოდა ხოლმე და ამაზე რას იტყვით?**

– დიახ, გვახსოვს, მაგრამ ასეთი ფაქტები მოსახლეობამ არ გვაპატია „ნაციონალურ მოძრაობას“ და ამ ფაქტებზე დაყრდნობით მოვიდა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, დღეს კი, ოთხი წლის შემდეგ, ზუსტად იგივე მეთოდებით აპირებენ ხელისუფლების შენარჩუნებას.

**„ალია“, ასევე, დაუკავშირდა მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ხელმძღვანელს, ზუგდიდის საკრებულოს ყოფილ წევრ კახა მიქაიას და დაინტერესდა, რა ინფორმაციებს ფლობდა კორცხელში მომხდარ ცემა-ტყეპაზე: „მე, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ვგმობ ძალადობას, ეს არის „ნაციონალების“ მეთოდები და პოლიტიკურ ოპონენტს, რაც არ უნდა მძიმე წარსული ჰქონდეს მას და რაც არ უნდა მოგწონდეს — ასე მაინც არ უნდა მოექცე, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ სიამის ტყუპებივით დაემსგავსნენ ერთმანეთს. ეს არის ლოგიკური შედეგი იმისა, რა პოლიტიკაც აწარმოა „ქართულმა ოცნებამ“ სამეგრელოში. ეს არის კოჰაბიტაციის, „ქართული ოცნების“ რიგების „ნაციონალებით“ გაძეძგვის ბრალი. უმაღლეს თანამდებობაზე არიან ყოფილი „ნაციონალები“ და იგნორირებული, დისკრიმინებულები არიან „ქართული ოცნების“ წევრები. რაც მთავარია: როდესაც კორცხელში შენი მაჟორიტარი დღესაც არის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, მიხეილ სააკაშვილის მიერ ორდენით დაჯილდოებული, მისი მომხრე და თანამებრძოლი ამირან ლაგვილავა, ხალხმა რომ პროტესტი გამოაცხადოს და ხმა არ მოგცეს, არ უნდა გაგიკვირდეს! ჩემი სურვილი და თხოვნაა: „ქართულმა ოცნებამ“ დაანებოს თავი „ნაციონალების“ მიერ პოლიტიკურ სანაგვეზე გადაყრილი ხალხის ამოღებას და ამ ხალხის მაჟორიტარებად და ე.წ. ახალ სახეებად წარმოჩენას საზოგადოების წინაშე. თუ „ოცნებამ“ კორცხელში მომხდარი ამბებისგან არ გამოიტანა სათანადო დასკვნები და ეს თუ არ იქცა გაკვეთილად, საპარლამენტო არჩევნებში შეიძლება „ქართული ოცნება“ დამარცხდეს“.

## „ეს არის შერჩევითი მართლმსაჯულება... საქართველოში პოლიციელების ძალადობამ მიიღო ახალი მუხტი“

ადვოკართა ასოციაციის პრეზიდენტი ქვეყანაში შერჩევით მართლმსაჯულებაზე საუბრობს და კორცხელში მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით პარლამენტარ დავით ლორთქიფანიძის კოსტიუმის ინციდენტს იხსენებს:

– ლორთქიფანიძის ინციდენტის დროს, როდესაც ამ მის მიმართ არანაირი ძალადობა არ იყო, ადამიანები მისცეს პასუხისგებაში და როდესაც ადამიანებზე ხდება თავდასხმა და ამის კადრები არსებობს, არ აძლევენ პასუხისგებაში. ეს არის შერჩევითი მართლმსაჯულება. მე ვამბობ, რომ საქართველოში პოლიციელების ძალადობამ მიიღო ახალი მუხტი მას შემდეგ, რაც ბატონი ქობალია, რომელმაც ბრალდებულს „კოკა კოლა“ აალოკინა და აწამა, დანიშნეს სამმართველოს უფროსად, - აცხადებს ზაზა ხატიაშვილი. (პირველი რადიო)

## თამაზ მეჭიაური: უკვე დაანონსებული არჩევნები შესაძლოა, „თბილისურ მაედნად“ გამოიყენონ

– უკვე დაანონსებული არჩევნები შესაძლოა, გამოყენებული იქნას „თბილისურ მაედნად", რისი მცდელობაც ცალსახად ჩანს, — აღნიშნული განცხადება დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა კორცხელის ინციდენტის შეფასების დროს ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა.

მისი თქმით, ცალსახად ჩანს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" და მათთან დაკავშირებულ ზოგიერთ პარტიას აღნიშნულის მცდელობა აქვს.

– ე.წ. დაზარალებულები საკმაოდ ხშირად ღებულობდნენ მონაწილეობას სხვადასხვა სადამსჯელო ოპერაციაში, ამიტომ ვისაც ზომაზე მეტად აქვს მონაწილეობა მიღებული სხვის დაპატიმრებებში, დარბევებში, აჯობებს, დაცვით იაროს, რადგან ხელისუფლებამ ვერ შეძლო სამართლიანობის აღდგენა იმ დოზით, რა დოზითაც მოსახლეობას შეჰპირდა. ხელისუფლებამ დროულად უნდა აღკვეთის ამგვარი ქმედებები, რადგან ყოველივე ეს გამოყენებული იქნება მათ წინააღმდეგ. უკვე დაანონსებული არჩევნები შესაძლოა, გამოყენებული იქნეს „თბილისურ მაედნად", რისი მცდელობაც, ცალსახად ჩანს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" და მათთან დაკავშირებულ ზოგიერთ პარტიას აქვს, — განაცხადა მეჭიაურმა. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აფბა - ქართულ საწვავის ბაზარზე ხელოვნურად დაჭერილი ფასების პოლიტიკა გრძელდება

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ განცხადებით, ქართულ საწვავის ბაზარზე ხელოვნურად დაჭერილი ფასების პოლიტიკა გრძელდება.

აფბას ანალიტიკოსმა პაატა ბაირახტარმა მსოფლიო ნავთობის ბაზარზე მიმდინარე პროცესები შეაფასა. ასევე, მან ადგილობრივ ბაზარზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ აუცილებელია, საფასო პოლიტიკა გადაიხედოს.

– ნავთობის ფასმა დაღმავალი ტრენდი 2016 წლის თებერვლიდან შეწყვიტა და ბარელის ფასი 40 დოლარს გადასცდა. იმ პერიოდისთვის ნავთობზე ფასების მატება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, ერთ-ერთი იყო ნიგერიიდან და ერაყიდან ნავთობის მიწოდების შეფერხება. ასევე, ფასების მატებაში ლომის წილი შეასრულა „ოპეკმა", რომელმაც რამდენიმე წარუმატებელი შეხვედრის შემდეგ, მოახერხა ნავთობის მომპოვებელი ქვეყნების ნაწილი დაეყოლიებინა მოპოვების „გაყინვაზე". უფრო კონკრეტულად კი ნავთობის მოპოვების გაყინვაზე შეთანხმდნენ რუსეთი, აზერბაიჯანი და საუდის არაბეთი. შეთანხმებას მოგვიანებით შეუერთდა ყატარი და ვენესუელა. თუმცა „ოპეკის" მცდელობის მიუხედავად, ფასების ისეთი დოზით მატება, რომელსაც „ოპეკის“ წევრი ქვეყნები ელოდნენ, არ მოხერხდა, - განაცხადა ბაირახტარმა.

მისივე თქმით, 3 თვეში ბარელის ფასი 40-დან მხოლოდ 47 დოლარამდე გაიზარდა. ამის მთავარი მიზეზი კი ირანია, რომელიც უარს ამბობს მოპოვების გაყინვაზე და პრაქტიკულად, მოლაპარაკებებს აზრს უკარგავს.

მისი განცხადებით, „ტრადიციულად" ქართულმა საწვავის იმპორტიორმა კომპანიებმა საწვავის გაძვირების მიზეზად მსოფლიო ტენდენციები დაასახელეს.

– მართლაც ბოლო 2 თვეში მსოფლიო ბაზარზე ბარელის ფასი თითქმის 14 პროცენტით გაიზარდა. პროცესების პარალელურად იზრდებოდა ფასი ქართულ საწვავზეც და მთლიანმა ზრდამ 8 პროცენტს გადააჭარბა. მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია ეროვნული ვალუტის ფაქტორი, რომელიც ბოლო 2 თვეში თითქმის 15 პროცენტით გამყარდა. მაშინ როდესაც, 1 ამერიკული დოლარის ღირებულება 2,47 ლარს აჭარბებდა, საქართველოში 1 ლიტრი პრემიუმის ფასი საშუალოდ 1,55 ლარს შეადგენდა. დღეს კი იგივე საწვავი 1,63-1,77 ლარამდე მერყეობს, 1 დოლარის ღირებულება კი 2,14 ლარია. გამოდის, რომ ლარის გამყარების ფონზე სხვაობა ქართულ ბაზარსა და მსოფლიო ბაზარს შორის მინიმუმ 8 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, მონაცემებზე დაყრდნობით გამოდის, რომ ქართული საწვავის იმპორტიორების მხრიდან ფასების ზრდა ისევ ხელოვნურად ხდება, - განაცხადა პაატა ბაირახტარმა. (tpm.ge)

## გიგა ოთხოზორიას მკვლელმა საყარაუდოდ თავი რუსეთს შეაფარა

საქართველოს პროკურატურამ გალის რაიონის სოფელ ბარღებიდან დევნილი გიგა ოთხოზორიას სასტიკ მკვლელობაში ეჭვმიტანილ რუსეთის მოქალაქეზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა.

რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომაგენელმა, 29 წლის რაშიდ კანჯი ოღლიმ გიგა ოთხოზორია ოკუპაციის ხაზთან, სოფელ ხურჩაში მოქალაქეების თვალწინ მოკლა. ფაქტი სათვალთვალო ვიდეოკამერამ დააფიქსირა.

თვითმხილველთა თქმით, საოკუპაციო ჯარის წარმომადგენელმა ოთხოზორიას სსრკ-ს ან ახალი აფხაზური პასპორტი მოსთხოვა, რის პასუხადაც მან ქართული აიდი ბარათი გაუწოდა. ოკუპანტებმა ოთოხზორიას ნაბაკევისკენ გადასვლაზე უარი განუცხადეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

თანმხლებმა პირებმა ოთხოზორია ვითარებას გაარიდეს და ხურჩისკენ გაიყვანეს, მას საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლები დაედევნენ და ჯერ ფეხში ესროლეს, ამის შემდეგ კი რამდენიმე ცეცხლსასროლი ჭრილობა მიაყენეს, მათ შრის თავის არეში. 30 წლის გიგა ოთხოზორია საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

გიგა ოთხოზორია 19 მაისს, მდინარე ხაიასთან, საკუთარი ავტომობილით მივიდა. მას სურდა ოკუპირებული გალის ტერიტორიაზე, გარდაცვლილი ნათესავის ოჯახისთვის საკვები პროდუქტი გაეგზავნა.

აფხაზეთის დევნილი მთავრობის ხელმძღვანელმა ვახტან ყოლბაიამ „ამერიკის ხმას" უთხრა, რომ აფხაზებმა კანჯი ოღლი უკვე რუსეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს და მას არავინ დააპატიმრებს.

– ეს პიროვნება, სავარაუდოდ, უკვე გააქციეს სოხუმიდან და იმალება რუსეთის ტერიტორიაზე, რუსეთის ტერიტორია კი იმხელაა, რომც დაუმტკიცდეს დანაშაული, მისი დაკავების ალბათობა საეჭვოა, - განაცხადა ვახტანგ ყოლბაიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ა. ბატონი — საკაშვილი რევოლუციას აანონსებს

მიხეილ საკაშვილი კორცხელში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და აცხადებს, რომ თავის დროზე სწორედ ასე დაიწყო ისტორიული შემობრუნება.

– რაც შეეხება კორცხელს, მინდა ვთქვა, რომ ეს ხალხი, ვინც ივანიშვილმა მოიყვანა, ძალიან ცუდად იცნობს სამეგრელოს. სამეგრელოში ბევრჯერ კუდამოძუებულები გაისტუმრეს მოძალადეები. თავის დროზე, როცა ჯაბა იოსელიანი მართლა ჯაბობდა, როცა წალენჯიხაში შევიდა თეთრ ცხენზე ამხედრებული, იქიდან გამოაპარეს, ისეთი დღე აყარეს მეგრელებმა. როცა ნიღბიანებმა დაუშინეს ავტომატები „ნაციოანლების“ მიტინგს, ხალხმა მათ ნიღბები ჩამოხადა და ეს იყო შევარდნაძის ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი. ხალხის დაშინება შეუძლებელია, მეთოდები რომელსაც იყენებენ, არის არაერთხელ ნაცადია შვარდნაძის, აბაშიძისა და ინაუკოვიჩის მიერ, - განაცხადა საკაშვილმა.

მისივე თქმით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობა“ ხმებს ისევე დაიცავს, როგორც დაიცვა 2003 წელს.

– ზუსტად ისეთივე ჩაბოღინლი ოლიგარქი ელემენტი, ფეოდალი იყო აბაშიძე და ვერაფერი გამოუვიდა, ჩვენ დავიცავით ჩენი ხმები მთელ საქართველოში. ჩვენ ამათ გადავეცით ხელისუფლება მშვიდობიანად, დავატრეინინგეთ, რომ ის სამინისტროები ემართათ და მაინც ვერ ისწავლეს, მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა, - განაცხადა საკაშვილმა. (ნიუპოსტი)

## „არის ხალხი, ვინც დაინახა, რა ქვების გროგა ჰქონდათ, რა პროვოკაციაზე მოდიოდნენ, რა ბეისბოლის ბიტები ჰქონდათ“

კორცხელის ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილის, კობა ტყეშელაშვილის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა ნიკა მელიამ დაიწყო პროვოცირება, ქვების სროლა, „ბიტების“ ჩარტყმა, ერთ სპორტსმენს თავი გაუტეხეს და ჩხუბიც ამას მოჰყვა.

– ვარ „ქართული ოცნების“ წევრი 2012 წლიდან და ამიტომ ვიმყოფებოდი კორცხელში. მანამდე სხვა რეგიონებშიც ვიყავით და იქ ინციდენტი არ მომხდარა, რადგან იქ არ იყო ნიკა მელია. მოვედით შსს-თან, რათა ბრალდებებს გავცეთ პასუხი. ჩვენ არ ვართ დამნაშავეები, რასაც თვითხილველები დაადასტურებენ, - აღნიშნა ტყეშელაშვილმა. (პირველი რადიო)

## პრობაციის სისტემაში დროებითი რეგისტრაციისა და ვიდეოპაემნის გადასახადები გაუქმდა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის გადაწყვეტილებით, პრობაციის სისტემაში სხვადასხვა სერვისებზე გადასახადები გაუქმდა.

კახა კახიშვილის განცხადებით, გაუქმდა ორი გადასახადი: დროებითი რეგისტრაციისა და ვიდეოპაემნის სერვისის საფასური.

– თუ მსჯავრდებულთან შესახვედრად ოჯახის წევრს დაწესებულებაში გამგზავრების საშუალება არ აქვს, შესაძლებლობა ექნება ამ ოფისიდან საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ დაწესებულებას დაუკავშირდეს და 15 წუთის განმავლობაში არა მარტო უფასოდ გაესაუბროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ ოჯახის წევრს, არამედ მისი გამოსახულებაც დანახოს, - განაცხადა მინისტრმა. (ნიუპოსტი)

## სალომე ზურაბიშვილი „ნაციონალებს“: თქვენ რამდენი ზონდერი დასაჯეთ?

„საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი სოციალურ ქსელში კორცხელის 53-ე საარჩევნო უბანზე მომხდარ ინციდენტს ეხმაურება:

– რამდენიმე კითხვა კორცხელის შესახებ:

1. „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართულებით: ცემა-ტყეპა ზონდერების გამომგონებლებს რაღა უკვირთ და რამდენი მათი ზონდერი დაისაჯა და როდის? თუნდაც პირდაპირ მკვლელობის გამო დაისაჯა ვინმე?!..

2. საზოგადოების საყურადღებოთ: კვირა დღეს მომხდარ ინციდენტზე ევროპარლამენტის ეპპ ჟაშეკ სარიუშ ვოლსკის რეაგირების წერილი ჩვენთან ორშაბათ დილის ეთერში უკვე შუქდებოდა, ევროპაში დილა რომ თენდებოდა... რისი მანიშნებელია: წინასწარ დამზადებული წერილისა თუ წინასწარმეტყველ პარლამენტარის?

3. და მთავარი - „ოცნების“ მისამართით: კორცხელის ამომრჩეველს რათ დაუტოვეთ ასეთი უსაძლისი „არჩევანი“, ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის და „არც ისე ყოფილ“ „ნაციონალურ მოძრაობის“ წევრის შორისა...???? - წერს სალომე ზურაბიშვილი. (რეპორტიორი)

# რა ფსიქოლოგიური პროპაგანდა დაიწყეს „ნაციონალებმა“ და იმოქმედებს თუ არა ეს ამომრჩეველზე?

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

„ნაციონალური მოძრაობა“ ოქტომბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნებისთვის რომ ძალებს არ დაზოგავს და პოლიტიკური რევანშისთვის ყველაფერზე წავა, ეს უკვე შუალედური არჩევნების დროს, ცემა-ტყეპითაც ცხადი გახდა. გარდა იმისა, რომ მათ პროვოკაციებისა და სიტუაციის თავის სასარგებლოდ გამოყენების დიდი ნიჭი და გამოცდილება აქვთ, ბოლო დროს ცალსახად, მიზანმიმართულად, ამომრჩეველზე ფსიქოლოგიური უპირატესობის მოპოვებას ცდილობს. „ნაციონალთა“ მთელი არმია ხელისუფლების უუნარობასა და სისუსტეს მოსახლეობის ზომბირებისთვის, გულის მოსაგებად და გადასაბირებლად იყენებს. „ნაცების“ კომენტარების უმეტესობა მთავრდება დაახლოებით ასე: „ქართული ოცნება“ არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს, ჩვენ დავბრუნდებით ხელისუფლებაში და გაჭირვებულ მოსახლეობას ამოვასუნთქებთო...

**მოექცევა თუ არა ამომრჩეველი „ნაცმოძრაობის“ ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ, რომელიც არჩევნების მოახლოებასთან ერთად უფრო და უფრო გამძაფრდება?**

„ალია“ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილსა და ფსიქოლოგ **რამაზ საყვარელიძეს** ესაუბრა.

**ზაზა ფირალიშვილი:**

**— ბატონო ზაზა, „ნაციონალთა“ თითქმის ყველა განცხადებაში გვესმის, როგორი უუნაროა „ოცნების“ ხელისუფლება, რაშიც არ შეიძლება არ დაეთანხმო, მაგრამ ასევე ამბობენ, ჩვენ გავიმარჯვებთ და მოსახლეობას სიღარიბიდან ამოვიყვანთო. ორივეს ჰყავს თავისი სტაბილური ამომრჩეველი, მაგრამ რამდენად მოქმედებს ეს ფსიქოლოგიურად ამომრჩეველთა იმ 60%-ის განწყობაზე, რომელსაც ეზიზღება „ნაციონალები“ და „ოცნების“ რწმენაც დაკარგული აქვს?**

– გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, ეს გათვლა აქვს „ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ რამდენად შეიძლება შედეგი მოიტანოს, ეს ძნელი სათქმელია, ვინაიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა უბრალოდ იმას, რას ამბობ, არამედ იმას – ვინ ამბობს. ყველა ის არგუმენტი, რომელსაც „ნაცმოძრაობის“ ლიდერები იყენებენ, სამართლებრივი ხარისხით შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ ამით თავად ქულებს ვერ იმატებენ. ყველაზე მეტი, რასაც შეიძლება მიაღწიონ, ამომრჩევლის პასიურობაა, ან მიაღწევენ იმას, რომ მესამე ძალას გაუმრავლონ ელექტორატი. სხვა შედეგი ამას არ მოჰყვება, მათი ამომრჩევლის ოდენობა ჩაკეტილია და მკაცრად არის განსაზღვრული.

**— თუმცა უნდობლობა, გარდა ამ ორი პარტიისა, სხვა პარტიების მიმართაც არის, მრავალგზის იმედგაცრუებული, ნდობადაკარგული საზოგადოება ფსიქოლოგიურად არამდგრადია და ვინ შეიძლება მოახერხოს ამ ადამიანების გადაბირება?**

– რეალურად სამ-ოთხ ძალას აქვს შანსი, რომ შეძლებს ამ პასიური და ნდობადაკარგული ელექტორატის თავისკენ შებრუნებას. წეღანაც ვთქვი, ამაში ამ პოლიტიკურ ძალებს ხელს შეუწყობს „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიურობა და ყვირილი. „ნაციონალებმა“ შესაძლოა, იმედი გადაუწურონ ადამიანებს „ოცნების“ მიმართ, მაგრამ თავად ამ ხმებს ვერ მიიღებენ. რადგან მათ ბრალი ედებათ ყველაფერ იმაში, ყოველ შემთხვევაში უდიდეს ნაწილში, რაშიც ახლა ხელისუფლებას სდებენ ბრალს. როდესაც „ნაციონალები“ ძალადობაზე საუბრობენ, როგორ არ უნდა გაგახსენდეს კაცს 2007 წლის ნოემბერი? მხოლოდ ეს ერთი ფაქტიც რომ გაგახსენდეს, საკმარისია. ან როგორ არ უნდა გაგახსენდეს 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდი, თავად ვარ შემსწრე იმ საზარელი ისტორიებისა, რასაც „ნაცმოძრაობა“ სჩადიოდა.

> „„ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან მხოლოდ „ოცნების“ ხელისუფლების უუნარობაზე ხაზგასმა ჭკვიანური სვლაა, რადგან, თუკი დიქტატურად შეაფასებენ მათ მმართველობას და ძლიერად დასახავენ მეტოქეს, ზოგჯერ ეს სიძლიერე იზიდავს ამომრჩეველს. სისუსტე კი განიზიდავს. ძალაუფლებას არ უყვარს სუსტები. გამოცდილი პარტიაა „ნაცმოძრაობა“ და კარგად იცის ეს ნიუანსები“

მიუხედავად იმისა, რომ ახლა ხშირად ამბობენ, რომ მათ თავიანთ შეცდომებზე ისწავლეს, ერთია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ საზოგადოება დაუჯერებს იმას, მართლა ისწავლეს თუ მოჩვენებითი და ყალბია მათი ეს პოზიცია. მგონია, შიში უფრო ძლიერია საზოგადოებაში, რომ რაღაცა სხვა მოხდება და ადგილი ექნება შურისძიებას, ვინაიდან ის განცხადებები, რასაც ხშირად აკეთებს ოდესის მმართველი, ნამდვილად არ მიანიშნებს იმაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ შეიცვლება“.

> „ნაციონალებმა“ შესაძლოა, იმედი გადაუწურონ ადამიანებს „ოცნების“ მიმართ, მაგრამ თავად ამ ხმებს ვერ მიიღებენ. რადგან მათ ბრალი ედებათ ყველაფერ იმაში, ყოველ შემთხვევაში უდიდეს ნაწილში, რაშიც ახლა ხელისუფლებას სდებენ ბრალს. როდესაც „ნაციონალები“ ძალადობაზე საუბრობენ, როგორ არ უნდა გაგახსენდეს კაცს 2007 წლის ნოემბერი? მხოლოდ ეს ერთი ფაქტიც რომ გაგახსენდეს, საკმარისია“

**რამაზ საყვარელიძე:**

– პოლიტიკური პარტია ყოველთვის იღებს ოპონენტში ერთ ნიშას და იმას აძლიერებს, იგივე ხერხს მიმართავ „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ყველაფერზე ერთად კი არ დაიწყო საუბარი, ერთი წერტილი აიღო. ისინი შევარდნაძის დროსაც ასე იქცეოდნენ, მათი კორუმპირებულობა გახადეს დარტყმის ობიექტად. „ოცნების“ შემთხვევაში კი გამოარჩიეს უუნარობა. ბევრი ეპიცენტრის არჩევა არ ვარგა ხოლმე ბრძოლის დროს. რაც შეიძლება საუკეთესო დარტყმა უნდა განახორციელო, ერთ წერტილზე, რომელიც გახდება პიარის პოლიტიკური ღერძი. თან თუ ხელისუფლებაც ხელს უწყობს ამას, რა თქმა უნდა, ეს ადამიანებზე ფსიქოლოგიურად მოქმედებს.

ანალოგიური ეპითეტი უუნარობის, გარდა კორუმპირებულობისა, შევარდნაძის დროსაც იყო, „დარდუბალა“ იყო მაშინ, გახსოვთ, ძალიან კარგი იარაღი. „დარდუბალობა“ უუნარობაა და ამ „დარდუბალამ“ იმუშავა, ოღონდ მხოლოდ „დარდუბალამ“ კი არ იმუშავა, შევარდნაძემ და „დარდუბალამ“ იმუშავეს ერთად. „ნაციონალური მოძრაობა“ ახლაც ეცდება, ამ ჩარჩოში ჩასვას „ოცნება“.

ბოლო ფაქტიც, როცა ცემა-ტყეპა მოხდა საარჩევნო დღეს, „ნაცმოძრაობამ“ უუნარობად შეაფასა და ხელზე დაიხვია, რომ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა საარჩევნო უბნის დაცვა მშვიდობიანად და მიმართა ძალადობას, რადგან მას სხვა პოლიტიკური იარაღი აღარ დარჩა.

„ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან მხოლოდ „ოცნების“ ხელისუფლების უუნარობაზე ხაზგასმა ჭკვიანური სვლაა, რადგან, თუკი დიქტატურად შეაფასებენ მათ მმართველობას და ძლიერად დასახავენ მეტოქეს, ზოგჯერ ეს სიძლიერე იზიდავს ამომრჩეველს. სისუსტე კი განიზიდავს. ძალაუფლებას არ უყვარს სუსტები. გამოცდილი პარტიაა „ნაცმოძრაობა“ და კარგად იცის ეს ნიუანსები. ჩვეულებრივი პიარსვლაა ეს. ამის პასუხად, წესით, ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს ენერგიული, ჭკვიანური სვლები, რაც ჯერჯერობით არ ჩანს.

ცალკე განხილვის თემაა, ასევე, როგორ შეუწყო ხელი ხელისუფლებამ „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ იმ დღეში ჩავარდნილიყო, რაშიც ახლაა. ეს არ იყო მხოლოდ უუნარობა, იყო გამოუცდელობაც, იყო დასავლეთის ფაქტორიც, რაც კარგად გამოიყენა „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ამავე დროს „ნაცმოძრაობას“ უპრეცედენტო ტოტალიტარიზმი ახასიათებდა. დღემდე ყველგან ჰყავს თავისი ხალხი და ბევრგან შეძლო პროცესების მართვა, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ ძნელია.

რა კურსიც აქვს ახლა „ნაცმოძრაობას“ და ის ფსიქოლოგიური დარტყმები, რითაც ხელისუფლებისთვის მხარდამჭერების გამოცლას აპირებს, ვერ გეტყვით რომ მხოლოდ დასავლელ ლობისტებთან მუშაობის შედეგია, რა თქმა უნდა, მათ აქვთ კონსულტაციები, ინტელექტუალური კავშირი დასავლეთთან, მაგრამ უკვე თავადაც იმდენად გამოცდილნი არიან პიარტექნოლოგიებში, დიდად აღარ სჭირდებათ ვინმეს მითითება, როგორ მოიქცენ.

არჩევნებამდე დიდი დროა დარჩენილი, გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა უბნებზე შუალედურმა არჩევნებმა, თუმცა ეს მცირე მასშტაბია. ამ მცირე მასშტაბშიც, „ნაციონალებს“ არ ეყოთ იმის ძალა, რომ რაიმე გასაოცარი შედეგისთვის მიეღწიათ. მთელი საქართველოს მასშტაბით რომ წავა პროცესი, იქ უკვე სხვა სურათი დაიხატება. აქ არ იყო სრულად პოლიტიკური სპექტრი წარმოდგენილი, ამიტომ სურათის დახატვა, რომ „ნაციონალებმა“ რამდენიმე უბანზე გამარჯვებით ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვეს, არ იქნებოდა მართებული, ეს რეპეტიციაც კი არ იყო არჩევნების.

## პუტინს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში უჩივლეს

ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და მალაიზიის მოქალაქეებმა „ბოინგ 777“ კატასტროფის გამო, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს.

მოსარჩელე მხარე მოპასუხისგან თითოეულ დაღუპულ ნათესავზე 7,2 მილიონ აშშ დოლარის კომპანსაციას ითხოვს. მოსარჩელედ სულ 33 ადამიანი გამოდის.

საქმეს საერთაშორისო საჰაერო სამართლის ექსპერტი, ამერიკელი იურისტი ჯერი სკინერი ანარმოებს. იურისტი ჯერ კიდევ ელოდება დადასტურებას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სარჩელს განსახილველად მიიღებს. ადვოკატის განცხადებით, საქმეში დევს იმ ადამიანების სიცოცხლის უფლების დარღვევის მტკიცებულება, რომლებიც ბორტზე იმყოფებოდნენ.

რუსეთის ფედერაციის საბჭოში სარჩელს ფსიქოლოგიური ომის ელემენტად განიხილავენ. ფედერაციის საბჭოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ფრანც კლინცევიჩის აზრით, სარჩელს სასამართლო პერსპექტივები არ გააჩნია.

ცნობისთვის, ექსპერტების 15-თვიანი მუშაობის შემდეგ, ჰოლანდიის უშიშროების საბჭომ საკუთარ მოხსენებაში განაცხადა, რომ თვითმფრინავი რუსული წარმოების „ბუკის“ ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსმა ჩამოაგდო.

შეგახსენებთ, რომ ავიაკომპანია „Malaysia Airlines"-ის კუთვნილი „ბოინგ 777", რომელიც ამსტერდამიკუალა-ლუმპურის რეისს ასრულებდა, 2014 წლის 17 ივლისს დონეცკის ოლქის დასახლებულ პუნქტ გრაბოვოში ჩამოვარდა. ავიალაინერის ბორტზე მყოფი 298 ადამიანი, მათგან 80 ბავშვი, დაიღუპა.

დონეცკში ჩამოგდებული თვითმფრინავის ბორტზე შიდსთან ბრძოლის 108 სპეციალისტი — მეცნიერები, ექიმები და საზოგადო მოღვაწეები იმყოფებოდნენ, რომლებიც ავსტრალიაში საერთაშორისო კონფერენციაზე მიემგზავრებოდნენ. (pia.ge)

## „რუსეთის პოლიციის თანამშრომელი „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი აღმოჩნდა“

რუსული მედიის ინფორმაციით, ინგუშეთში ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებული დაჯგუფება დააკავეს, რომლის ერთ-ერთი წევრიც რუსეთის პოლიციის თანამშრომელი აღმოჩნდა.

სამართალდამცავი უწყების ინფორმაციით, დაკავებულს, რომელიც რუსეთის პოლიციაში მსახურობდა, ჩხრეკის დროს დიდი ოდენობის შეიარაღება და ასაფეთქებელი ნივთიერებები აღმოუჩინეს.

ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის განმარტებით, დაჯგუფება სახელისუფლებო ორგანოების, პოლიციის თანამშრომელთა და ტრადიციული ისლამის მხარდამჭერთა წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა. (pia.ge)

## რუსეთმა უკრაინის საზღვართან 34 600 სამხედრო განალაგა

რუსეთმა უკრაინის საზღვართან 34 600 სამხედრო განალაგა. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის ანტიტერორისტული ოპერაციის შტაბის პრესცენტრი, სადაზვერვო მონაცემებზე დაყრდნობით ავრცელებს.

დაზვერვის ინფორმაციით, აქედან 6 500 რუსი სამხედრო დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ტერიტორიაზე იმყოფება.

ანტიტერორისტული ოპერაციის შტაბში აცხადებენ, რომ ქვეყნის საზღვართან მობილიზებულია ასევე, დიდი ოდენობით სამხედრო ტექნიკა. (ინტერპრესნიუსი)

## ბელგიელი ტერორისტის ძმამ ტაეკვონდოში ევროპის ჩემპიონატი მოიგო

ნაჯიმ ლააშრაუის უმცროსმა ძმამ ტაეკვონდოში ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ნაჯიმ ლააშრაუი ერთ-ერთია იმ ტერორისტებს შორის, რომლებმაც 22 მარტს ბრიუსელის აეროპორტში ტერაქტი მოაწყვეს.

54 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მურად ლააშრაუიმ ესპანელ ხესუს ტორტოსს სძლია. 21 წლის ბელგიელი 2016 წლის ოლიმპიურ თანამაშებშიც მიიღებს მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ ბელგიის დედაქალაქში 22 მარტს მომხდარი ტერორისტული აქტის შედეგად 31 ადამიანი დაიღუპა და 300-ზე მეტი დაიჭრა. (kvira.ge)

## აზერბაიჯანის პრეზიდენტი: სომხეთიდან ბირთვული საფრთხე არსებობს

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ მეწამორის ატომური ელექტროსადგურიდან ბირთვული საფრთხე არსებობს. ამის შესახებ ალიევმა სტამბოლში, მსოფლიო ჰუმანიტარულ სამიტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ინფორმაციას გამოცემა „სეგოდნია" ავრცელებს.

– სომხეთმა მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები უნდა შეასრულოს. რეგიონისთვის მეწამორის ატომური ელექტროსადგური დიდ საფრთხეს წარმოადგენს. არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სომხეთი სადგურის ნარჩენებს უკანონოდ იყენებს, — განაცხადა ალიევმა.

ცნობისთვის, აპრილში, როდესაც მთიან ყარაბაღში ვითარება დაიძაბა, სომხეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გრანტ ბაგრატიანმა განაცხადა, რომ ერევანს აქვს როგორც ბირთვული იარაღი, ასევე, მისი წარმოების ტექნოლოგიები. (kvira.ge)

## აშშ რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესებას განიხილავს

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იმედოვნებს, რომ ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები გახანგრძლივდება. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სასანქციო პოლიტიკის კოორდინატორმა, დენიელ ფრიდმა განაცხადა.

– ამ დრომდე ისინი სულ ახანგრძლივებდნენ სანქციებს, ტრანსატლანტიკური ერთობა მყარი აღმოჩნდა არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ საქმეზეც, — განაცხადა ფრიდმა.

– შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ დამატებითი ზომები, ეს საკითხი უკვე განვიხილეთ ევროკავშირთან, — დასძინა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სასანქციო პოლიტიკის კოორდინატორმა.

დენიელ ფრიდის განცხადებით, ყირიმთან დაკავშირებული სანქციები იმ დრომდე იმოქმედებს, სანამ ნახევარკუნძული უკრაინის შემადგენლობას არ დაუბრუნდება. (euroline.ge)

## ექსპერტ-კრიმინალისტების განცხადებით, EgyptAir-ის თვითმფრინავის ბორტზე აფეთქება მოხდა

ავიაკომპანია EgyptAir-ის თვითმფრინავის ფრაგმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ თვითმფრინავ Airbus A320-ის ბორტზე აფეთქება მოხდა. ამის შესახებ ინფორმაციას Associated Press-ი ექსპერტ-კრიმინალისტებზე დაყრდნობით ავრცელებს.

მანამდე სპეციალისტები არ გამორიცხავდნენ, რომ თვითმფრინავის ავიაკატასტროფის მიზეზი შესაძლოა, ტერორისტული თავდასხმა გამხდარიყო, თუმცა ჯერჯეროთ ეს ფაქტი ოფიციალურად დადასტურებული არ არის.

შეგახსენებთ, რომ ბოლოს გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ეგვიპტის ხელისუფლებამ 19 მაისს ხმელთაშუა ზღვაში ჩავარდნილი თვითმფრინავის შავი ყუთის მოძიების მიზნით წყალქვეშა ხომალდი გაგზავნა.

ქვეყნის პრეზიდენტის განცხადების მიხედვით, წყალქვეშა ხომალდს 3 000 მეტრის სიღრმეზე შეუძლია მუშაობა. ამასთან, მან დააზუსტა, რომ აღნიშნული წყალქვეშა ხომალდი ეგვიპტის ნავთობის სამინისტროს საკუთრებაა.

ავიაკომპანია EgyptAir-ის თვითმფრინავი Airbus A320, რომელიც ფრენას პარიზიდან კაიროს მიმართულებით ახორციელებდა, 19 მაისს რადარებიდან გაუჩინარდა. ბორტზე 66 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის 15 საფრანგეთის მოქალაქე და 30 ეგვიპტელი. საბერძნეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, გაუჩინარებამდე თვითმფრინავი მკვეთრ, მათ შორის 360 გრადუსიან მანევრირებას ახორციელებდა.

20 მაისს ეგვიპტის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თვითმფრინავის ფრაგმენტები და მგზავრების ნივთები იპოვეს. ასევე, ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ მომხდართან დაკავშირებით განაცხადა, რომ თვითმფრიონავი სავარაუდოდ, ხმელთაშუა ზღვაში ჩავარდა. (ipress.ge)

## უკრაინულმა ვებგვერდმა იმ ჟურნალისტების სია გამოაქვეყნა, რომლებიც „აგრესორ რუსეთთან თანამშრომლობენ“




უკრაინულმა ვებგვერდმა Миротворец-მა იმ აკრედიტებული ჟურნალისტების პერსონალური მონაცემები გამოაქვეყნა, რომლებიც საიტის ადმინისტრაციის მტკიცებით, „აგრესორ რუსეთთან თანამშრომლობენ“.

293-კაციან სიაში 3 ქართველი ჟურნალისტიც მოხვდა. ორი მათგანი ტელეკომპანიის, ერთი კი ბეჭდური მედიის თანამშრომელია.

უკრაინული ვებგვერდი რუსეთში დარეგისტრირებულ ტელეფონის ნომრებსა და ელექტრონული ფოსტის მისამართებსაც აქვეყნებს.

როგორც „ბიბისი" აღნიშნავს, ჟურნალისტების მონაცემთა ბაზა იმ უცხოური მედიასაშუალებების კორესპონდენტების სიას ემთხვევა, რომლებსაც აკრედიტაცია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აქვთ გავლილი.

„ბიბისი" წერს, რომ ვებგვერდმა ჟურნალისტების პერსონალურ მონაცემთა სია რამდენიმე დღის წინაც გამოაქვეყნა, რამაც საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების პროტესტი გამოიწვია.

რუსული მედიის ინფორმაციით, ვებგვერდი უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩევლის, სახალხო დეპუტატ ანტონ გერაშენკოს პროექტია. (ინტერპრესნიუსი)

## ბრაზილიაში კომპიუტერი მოიპარეს, სადაც ზიკას ვირუსზე მასალები ინახებოდა

ბრაზილიელმა მეცნიერმა ამილკარ ტონურიმ განაცხადა, რომ ბოროტმოქმედებმა მისი ლეპტოპი მოიპარეს, სადაც ზიკას ვირუსთან ბრძოლის კვლევების შედეგები ინახებოდა.

ინციდენტი სანტოს-დიუმონის აეროპორტში მოხდა. როგორც მეცნიერი განმარტავს, კომპიუტერში ორი კვლევის შედეგები ინახებოდა.

ერთ-ერთი მათგანი წამლის შექმნას ეხებოდა, რომლითაც ზიკას ვირუსით გამოწვეული გართულებების ნეიტრალიზება უნდა მოხდეს. ვინაიდან შედეგების ასლები არ არსებობს, ახლა მათი ჩატარება მეცნიერს თავიდან მოუწევს. ამილკარ ტანური ამბობს, რომ ლეპტოპის დაკარგვით გამოწვეული ზარალი 5 ათას დოლარს შეადგენს. (kvira.ge)

# მილიარდერი ივანიშვილის „ქართულ ოცნებას“ პარტიული ღონიძიებებისთვის ბიუჯეტის თანხების ხარჯვა დაუწყია...



**კუბლაშვილი** ესაუბრა:

– ხელში გვიჭირავს ახალი ხელშეკრულებები, რომელიც მორიგ უკანონობას ადასტურებს. დღეს მინდა გესაუბროთ თბილისის სასწრაფოზე, რომელიც გახლავთ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში. ამ ორგანიზაციამ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გააფორმა ხელშეკრულება ერთი მანქანის შეკეთებაზე. ხელშეკრულება გაფორმებულია სასწრაფო წესით და არ არის ნაჩვენები არანაირი ძირითადი ინფორმაცია – არც მანქანის მოდელი, არც მანქანის გამოშვების წელი, არც ის, რა დანიშნულებისაა ეს მანქანა და ამ ერთი მანქანის შესაკეთებლად გამოიყო 11 ათას 585 ლარი.

**— ვის გაუფორმეს ეს ხელშეკრულება?**

– ხელშეკრულება გაფორმებულია ინდმეწარმე, ვინმე ალექსანდრე სანაძესთან და კაცმა არ იცის, რატომ მისცეს მაინცდამაინც ამ ადამიანს ეს თანხა. ყველაზე სასაცილო ამ ხელშეკრულებაში არის ფასები: „ბამპერი“ – 950 ლარი, წინა მარჯვენა ფრთა – 450 ლარად და ა.შ. თუ ვინმეს ავტომანქანასთან ოდნავი შეხება მაინც ჰქონია, დარწმუნდება, რომ აბსოლუტურად მოგონილი ამბავია. ამ ფასად ძალიან ჩვეულებრივად იყიდდნენ უფრო იაფად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდ გაურკვევლობას ქმნის ის, რომ არ არის მითითებული არც ამ მანქანის გამოშვების წელი, მოდელი და ა.შ. გაკეთებულია მიღებაჩაბარების დოკუმენტი, ერთი შეხედვით ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ ყველაზე დიდი ეჭვს იწვევს ერთ პირთან ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც, როგორც წესი, ფორმდება გადაუდებელი აუცილებლობისას. არც ის არ არის მითითებული, რა გადაუდებელი აუცილებლობითაა ეს ყველაფერი გაკეთებული.

**— როგორც წესი, სახელმწიფო ორგანიზაციებს, უწყებებს სპეციალური სერვისცენტრები ემსახურებათ და მაშინ რასთან გვაქვს საქმე? რა შუაშია ალიასი?**

„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი, **გივი** მონიტორინგის ცენტრ „მედიატორს“ თბილისის მერიაში საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვისა და კორუფციული გარიგების მორიგი ფაქტი აღმოუჩენია.

**რატომ არ ჩანს დოკუმენტურად, რა მანქანის შესაკეთებლად გამოიყო წესის დარღვევით 11 ათას ლარზე მეტი? რატომ დააფინანსა თბილისის ბიუჯეტმა ფრაქცია „ქართული ოცნების“ ღონისძიება? რას ემსახურებოდა თბილისის ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის ახალი განცხადება ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით?**

ლაპარაკი, რომ კორუფცია იკვეთება, ქალაქის მერია გახდა კორუფციის მანქანა. შეუძლებელია გააკონტროლო, რეალურად შეკეთდა თუ არა ეს მანქანა და ა.შ. საქმე გვაქვს კორუფციულ გარიგებასთან და ეჭვია, რომ მხარემ, ხელმძღვანელმა პირმა, რომელმაც ინდმეწარმეს გადაურიცხა ეს თანხა, აიღო „ატკატი“, რითაც აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი ორგანოები და გამოიძიონ.

ამ მხრივ, მერიას არც ქალაქის საკრებულო

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 09/05/16

ქ. თბილისი 17 მაისი 2016 წ.

ხელშეკრულების მხარეები:

1. „შემსყიდველი“: სსიპ - "სსდ ცენტრი" (ს/კ: 205307960)
1.1. წარმომადგენელი (ხელმოწერი პირი): დირექტორის მ/შ - დავით ტორუა
1.2. „მიწოდებელი“: იუმ „ალექსანდრე სანაძე“ (ს/კ:01017016552)
1.2.1. წარმომადგენელი (ხელმოწერი პირი): ალექსანდრე სანაძე

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე10! მუხლის 3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის „თ“ პუნქტის საფუძველზე, მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი
3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ( CPV-50100000 სატრანსპორტო საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

| # | დასახელება | ერთეული | რაოდენობა | ერთეულზე | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | წინა ეკრანი აღდგენა | | 1 | 130 | 130 |
| 2 | წინა ბამპერი | ცალი | 1 | 950 | 950 |
| 3 | ბამპერის მარჯვენა პლასმასის მოლდინგი | ცალი | 2 | 80 | 160 |
| 4 | წინა მარჯვენა ფრთა | ცალი | 1 | 450 | 450 |
| 5 | მარჯვენა ციმციმა (ფრთაზე) | ცალი | 1 | 35 | 35 |
| 6 | მარჯვენა გიტარა | ცალი | 1 | 760 | 760 |
| 7 | შარავოი | ცალი | 1 | 100 | 100 |
| 8 | წინა მარჯვენა ცაბკა | ცალი | 1 | 860 | 860 |
| 9 | წინა მარჯვენა სტერჟინი | ცალი | 1 | 125 | 125 |
| 10 | წინა მარჯვენა ყუმბარა | ცალი | 1 | 1170 | 1170 |
| 11 | წინა მარჯვენა სარკე | ცალი | 1 | 400 | 400 |
| 12 | მგზავრის აირბეგი | ცალი | 1 | 1400 | 1400 |
| 13 | მძღოლის აირბეგი | ცალი | 1 | 1350 | 1350 |
| 14 | რემნები ჩამკეთებით | | 2 | 400 | 800 |
| 15 | რემნის კაფსულები | ცალი | 2 | 350 | 700 |
| 16 | აირბეგის დარეკი | ცალი | 1 | 210 | 210 |
| 17 | ფასადის ენოვკები | ცალი | 20 | 0.5 | 10 |
| 18 | საბუქსირის ხუფი | ცალი | 1 | 35 | 35 |
| 19 | ანტიფრიზი | ცალი | 1 | 100 | 100 |
| 20 | ფრეონი | ცალი | 1 | 120 | 120 |
| 21 | სათუნუკე სამუშაო | | 1 | 600 | 600 |
| 22 | ძარის გაჭიმვა | | 1 | 200 | 200 |
| 23 | სამღებრო სამუშაო | | 4 | 100 | 400 |
| 24 | სამონტაჟო სამუშაო | | 1 | 250 | 250 |
| 25 | პოლირება | | 3 | 15 | 45 |
| 26 | ელ სამუშაოები | | 1 | 200 | 200 |
| 27 | თვლების თანწყვილება | | 1 | 25 | 25 |
| | | | | ჯამი | 11585 |



ქ. თბილისი 22 აპრილი 2016 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, მდებარე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2-ში (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი უფროსის ელენე დუმბაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, შპს „სინქროტელი“ (შემდგომში – მიმწოდებელი), მდებარე: ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ, II კვ, VI კორპ, ბინა 45, წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ მუხაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

*1 ხელშეკრულების საგანი, ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი*

1.1 ხელშეკრულების საგანია: ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის ბიუჯეტის სახსრებით, მიმდინარე წლის 23 აპრილს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის“ ინიციატივით გასამართი ღონისძიებისთვის- „უკრაინული გაზაფხული კიევის ქუჩაზე“ საჭირო გახმოვანების აპარატურით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
1.2 ხელშეკრულების ობიექტია: გახმოვანების აპარატურით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.
1.3 კლასიფიკატორის კოდი: 513 000 00; 513 130 00.

*2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1 გაწეული მომსახურების ფასი განისაზღვრება: ლარში.
2.2 გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 1 880 (ერთიათასრვაას ოთხმოცი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახადების, ასევე ყველა ხარჯის, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან) ჩათვლით.

**ვიღაც ინდმეწარმე?**

– გეთანხმებით, როგორც წესი, ამ მომსახურებებზე ხელშეკრულებები ფორმდება ხოლმე სერვისცენტრებთან, მით უმეტეს, როცა საქართველოში უკვე თითქმის ყველა მოდელისა და ფირმის მწარმოებლის სერვისცენტრი არსებობს. სხვა თუ არაფერი, თუ ჯერ არ ჰქონდათ რომელიმე მათგანთან ხელშეკრულება, შეეძლოთ, ამ ეტაპზე გაეკეთებინათ, ამხელა თანხას ხომ რიცხავდნენ?

ძალიან მარტივი მისახვედრია, რომ, როცა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ვსაუბრობთ და ამდენი რამეა ბუნდოვანი, არ უნდა ჩამოუვარდება, რომელმაც 1880-ლარიანი ხელშეკრულება გააფორმა გახმოვანების მომსახურებისთვის. შემდეგ, ეს მომსახურება შედგა არა საკრებულოს ტერიტორიაზე, არამედ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კიევის ქუჩაზე.

**— რა ხდებოდა კიევის ქუჩაზე?**

– საკრებულოს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ ჩაატარა ღონისძიება „უკრაინული გაზაფხული კიევის ქუჩაზე“. ფრაქცია „ქართული ოცნება“ გამოდის თბილისის ქუჩებში, მართავს ღონისძიებას და ამისთვის თანხას გამოყოფს თბილისის ბიუჯეტიდან. რა ვალდებული ვიყავით, რომ პარტიული ღონისძიებისთვის ჩვენი ჯიბიდან გადაგვეხადა ფული? აქაც ადგილი აქვს ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვას და ადმინისტრაციული რესურსის არაჯეროვნად გამოყენებას. ამ საკითხზე, აუცილებლად უნდა მოხდეს საკრებულოს ადმინისტრაციის უფროსის დაკითხვა – უნდა მოიკვლიონ და გვითხრან, რის საფუძველზე დაფინანსდა აღნიშნული ღონისძიება ბიუჯეტიდან. მსგავსი რამ არასდროს

> „იგივე რომ მოენდომებინათ, ანუ ღონისძიების ჩატარება, საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას“, „დემოკრატებს“, ან ალეკო ელისაშვილს, ვინმე დაუფინანსებდათ?! — ძალიან მეეჭვება...“

მომხდარა, არც ყოფილი და არც არსებული ხელისუფლებების პერიოდში.

როცა თბილისის ქუჩებში ტარდება რაიმე ღონისძიება, როგორც წესი, ამაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს მერია, ან გამგეობა, მაგრამ ქუჩაში ჩატარდა ღონისძიება, რომლის ორგანიზატორიც გახლდათ ფრაქცია „ქართული ოცნება“ და ამისთვის თანხა გამოიყო ბიუჯეტიდან. მსგავსი ღონისძიება, როგორც წესი, უნდა დაეფინანსებინა პარტიას და არა ჩვენ, მოქალაქეებს. იგივე რომ მოენდომებინათ, ანუ ღონისძიების ჩატარება, საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას“, „დემოკრატებს“, ან ალეკო ელისაშვილს, ვინმე დაუფინანსებდათ?! – ძალიან მეეჭვება... ჩვენ მივმართავთ სარევიზიო კომისიას, მოიკვლიონ და გვიპასუხონ – რის საფუძველზე გაფორმდა აღნიშნული ხელშეკრულება და რატომ დააფინანსა საკრებულომ ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებული ღონისძიება. ასევე, გამოიკვლიონ, რეალურად, ფრაქციის მიერ იყო ორგანიზებული თუ პარტიის. ჩვენ ვიცით, რომ ეს იყო პარტიის მიერ ორგანიზებული. მოკლედ, მოიკვლიონ და გვითხრან. ფაქტია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არაოფიციალურად დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია და ამისთვის არ იშურებენ საბიუჯეტო და ადმინისტრაციულ რესურსს.

**— მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, კარლო ლაფერაძემ განაცხადა, გაყიდულ 29 ჰექტარზე ერთი ამბავი რომ ატეხეს, თითქოს სტატუსი მოვუხსენით ამ ნაკვეთს, ასე არ არის, ნაწილობრივ მოეხსნა და ისევ რეკრეაციული ზონააო. ამაზე რა ინფორმაცია გაქვთ, მართლა ასეა?**

– ეს წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნებისთვის“ სირცხვილის მოწმენდას უკავშირდება. მან თქვა, რომ ეს იყო ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა და ისევ დარჩა ამ ზონად, უბრალოდ დაშვებით, რომ იქ მცირედით იყო მისი განვითარების შესაძლებლობა. გაუგებარია მისი განცხადება, რომელიც ამბობს, რომ თურმე მთლიანად კი არა ნაწილობრივ მოხდება განაშენიანება. ნებისმიერს შეუძლია, შევიდეს თბილისის მერიის რუკაზე, სადაც დატანილია, რომელი ტერიტორია ვის ეკუთვნის, ვის აქვს მშენებლობის ნებართვები და ა.შ.

მათსავე რუკაზე, თვალნათლივ ჩანს, რომ ამ ტერიტორიაზე გაცემულია მშენებლობის ნებართვები. ახლა გვეუბნებიან, ეს ქოთანია და ყურს საიდანაც გვინდა, იქიდან მივაბამთო. ასეც რომ არ იყოს, 5 კი არა, 1 ჰექტარზე რომ მოხდეს განაშენიანება, რა იცვლება ამით? არაფერი არ იცვლება ჩვენთვის, ბიძინა ივანიშვილი მოიწყობს ახალ გარემოს, თავისი სასტუმროებით და არც ისაა გამორიცხული, მალე მანდ ბიძინა ივანიშვილის პირადი ზოოპარკი ვიხილოთ.

მოკლედ, ცხადია, ყველაფერს აკეთებს ახლა ხელისუფლება, რომ ის პროტესტი ჩაახშოს, რაც მათ ბოლოდროინდელ აქტივობებს მოჰყვა და ამის დამადასტურებელი იყო კარლო ლაფერაძის განცხადებაც.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1.კაცუნა ზურგზე პროვე-ლერით
2.მსახ. ... მასტრო-იანი
3. მზის სხივი
4. ლენონის ქვრივი
5. ერთგვარი დასა-რტყამი საკრავი
6. მამათა დიდი მონასტერი
7. მსუბუქი არშიყი
8. ფრანგი ნინასწარ-მეტყველი
9. ცეცხლის დასანთები წირი
10.ნახ. კუნძული აზერბეი-ჯანში
11. პურის სოკო
12. ქალაქი ერევანში
13. სოფელი სურამთან
14. ნაკურთხი ხყალი
15. მსახიობი ... ბროსნანი
16.ქართ. ესტრადის მომღე-რალი
17.ძველი ეგვიპტის დედო-ფალი
18. სულების გამოძა-ხება
19. სითხის გამოსახ-დელი ჭურჭელი
20. საუბარი
21.„სადაც ვშო-ბილვარ, გავზრ-დილვარ და მის-როლია ...“
22. შაბათ საღამო
23. პარიზის კოშკის კონსტ-რუქტორი
24. სურდო
25. მსახიობი მარინა ...
26. საიუვე-ლირო ქვა
27. ... სულკა-ური
28. სამკა-ციანი ანსამბლი
29. მდინარე ქუთაისში
30. თაყაიშ-ვილის კინო-როლი
31. სამზა-რეულოს ჭურჭელი
32. კონტი-ნენტი
33. კომპოზიტორი ... ყანჩელი
34. გამის ნოტი
35.მისი დედაქა-ლაქია ოსლო
36. მხატვარი ანრი ...
37. ზარმაცი, მოდუ-ნებული
38.ექს-პრეზი-დენტი ბილ ...
39. მდინარე აღმ. საქართ.
40. სამშე-ნებლო იარაღი
41. რიცხვი ექვსი ნულით
42. მამალი ცხვარი
43.სან-ჰიგიენ. დასუსე-ბულება
44. მითიური ცხენ-კაცი
45. შემწვარი კვერცხი
46. ტაბლეტი
47. ფრედი მერკურის ანსამბლი

48. ვარსი-მაშვილის ფილმი
49. გამის ნოტი
50. ფანდი ჭიდაო-ბაში
51. უფლება გამოგო-ნებანე
52.გა-ლაქტიკა ანდრო-მედას ..
53. ტანსაც-მლის დეტალი
54. ადამიანი ობობა
55. აგენტი 007
56. ჩაროზი
57. ვერდის ოპერა
58.საგა-ლობელი ... მარია
59. აიბოლი-ტის ძაღლი
60. მწერალი თეოდორ ...
61. მსახიობი ... ბერიმორი
62. მსახიობი ... ბიტი
63.რე-ჟისორი ეტორე ...
64. ყელ-ყურის ექიმი
65. მუხის ნაყოფი
66. მწერალი ... მიშველაძე
67. მდინარე ორინოკოს ველი
68. უმარლესი სპორტ. მიღწევა
69. გაფუ-ჭებული კვერცხი
70.ოპერა „აბესალომ და ...
71. ხის ჯიში
72. დახურული ეტლი
73. მსახიობი ... დეპი
74. გამის ნოტი
75. ყანწის მასალა
76.მი-მართვა იაპონელი მამაკა-ცისადმი
77. მსახიობი სილვანა ...
78. სასვენი ნიშანი
79.ქალის პირბადე აღმო-სავლეთში
80.რე-ჟისორი სერგეი ...
81. ბრედ პიტი ფილმში
82. მდინარე იტალიაში
83. მსახიობი ჟან ...
84. მონეტის მხარე
85. ოთხიანი ნარდში



86. მდინარე მოლდა-ვეთში
87. ... გათეთრ-დების ყორანი
88. ციხე-სიმაგრე თბილისში
89. ნარკო-ტიკული მცენარე
90. მადაგას-კრული კატა
91. სანწილის ატრიბუტი
92. ძლიერი ცეცხლი
93. სოკრატეს ანჩრლი ცოლი
94. მდინარე ინდოეთში
95. იალქანი
96. ლატვიის დედაქა-ლაქი
97. მსახიობი ... კახიანი
98. მოგზაური ფრიტიოფ ...
99. შტატი აშშ-ში
100. აფხაზე-თის ავტონომ. რესპუბ-ლიკის დედაქა-ლაქი
101. ხალიჩა
102. იანის საპირის-პირო
103. პურის კიდე
104. შინაური ცხოველი
105. ცეცხლის ენა
106. ავადმ-ყოფობა, ანუ ...
107. მსახიობი ... ჰარისი
108. მსახიობი ფილიპ ...
109. ჰიუგო. „კაცი, რომელიც იცინის“ ბრმა გოგონა
110. აბელის მკვლელი
111. ერთიანი ნარდში
112. „მაუგლი“ პითონი
113. მხ/ფ „... ტრეისი“
114. ემინემის სტილი
115. ბუდისტი მასნავ-ლებელი
116. ... მლაღადებლისა უდაბნოსა შინა
117. მსახიობი ... რურკი

ვანენგბი: 1. ეკოლალიოგი; 2. ბიოფიზიკოსი; 3. ათინეთი; 4. ოფო; 5. ქსილოფონი; 6. ლეგენა; 7. ფლოსტრი; 8. ნოსმენელი; 9. ალეთი; 10. ავეშროფი; 11. ობი; 12. სპინოზა; 13. ანაზეგი; 15. ბინა; 16. სტენლეი; 17. ნეფერტიტი; 18. სპინოსაურები; 19. ოსტრეტი; 20. ბაბი; 21. ისაია; 22. ეკონომიკა; 23. ეფექტი; 24. ოთეტი; 25. ფაფალი; 26. ქაფეინი; 27. ბაალ; 28. ტოფი; 29. ტოფი; 30. ბანალია; 31. ქეპი; 32. ალი; 33. ანა; 34. ლა; 35. ნოსენეზია; 36. ბეტინი; 37. ბანკი; 38. ალიფიანი; 39. ეტენეტალ; 40. ძალიანი; 41. ფიალი; 42. ალეთ; 43. ბანიბეზია; 44. ეკენტიანი; 45. ოლეთი; 46. ბანი; 47. „ქეთინი“; 48. „ფიფოლეკარტიანი“; 49. ფი; 50. ოლეთი; 51. ბენტლეკეთი; 52. ბისეკეტეთი; 53. ჯინი; 54. სპანიოლეთეი; 55. ბოლეთი; 56. ნოტი; 57. „ოფოლეკარტი“; 58. ალეთ; 59. ალეი; 60. ლეონარდი; 61. ლეონარდი; 62. ეკოლეტი; 63. ეკოლეტი; 64. ალანიზალეი; 65. ბოლეთ; 66. ოლეთი; 67. ალეთი; 68. ოლეკოლეი; 69. ალეთ; 70. ეოლეთ; 71. ეოლეთ; 72. ეკონენი; 73. ეკენეტი; 74. ბეტ; 75. ბეტ; 76. ბეტ; 77. ბეტ; 78. ბეტ; 79. ბეტ; 80. ბეტ; 81. „ფოლეკ“; 82. ალ; 83. ოლეთ; 84. ალეთ; 85. ბანი; 86. ლეონარდ; 87. ალ; 88. ნანიზალეი; 89. ბანიბეზეი; 90. ოლეთი; 91. ბალეთი; 92. ბანანეთ; 93. ეკენეთალე; 94. ინანეთ; 95. ალეკა; 96. ინალ; 97. ინანეი; 98. ნანენეთ; 99. ეკენენეთ; 100. ეოხეზეი; 101. ეკენენეთ; 102. ალეთ; 103. ეკენენეთ; 104. ალეთ; 105. ეკენენეთ; 106. ალეთ; 107. ეკენ; 108. ნოლეთ; 109. ალეთ; 110. ეკენ; 111. ალეკ; 112. ეკენ; 113. ალეკ; 114. ალეთ; 115. ეკენ; 116. ბანი; 117. ეკენ. ეკენეთ ალეთ ალეთ ალ

სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო სპინტერესო

## ესპანელი კატების სიყვარულის გამო ჯარიმას გადაიხდის

კაცმა რომ თქვას, სიყვარულის არჩევანში ადამიანი თავისუფალია, უნდა შვილი ეყვარება, უნდა შინაური ცხოველი და უნდა შინაური ცხოველი შვილივით, მაგრამ ესპანეთის კანონმდებლობა ამდენ თავისუფლებას არ იძლევა და ესპანელები შესაბამის შედეგებსაც იმკიან.

სარაგოსის 40 წლის მცხოვრებმა სამაშველო სამსახური გამოიძახა, არიქა, მიშველეთ, ჩაკეტილ კარში ჩემი ორი გოგო დარჩა და ნერვიულობისგან თავს ვეღარ ვაკონტროლებო. სამაშველო სამსახური ელვის სისწრაფით გაქანდა დანიშნულების ალაგამდე, ე მანდ ადამიანი ნერვიულობისგან შოკში არ ჩაგრავდესო.

ადგილზე მისულებს კი, ჩაკეტილი კარის მიღმა ორი კატა დახვდათ.

პატრონმა კი გაოცებული სახით განაცხადა, რაა გასაკვირი, ჩემი კატები ჩემი გოგოები არიანო.

სამართალდამცავებმა, ჰოდა, გადაიხადე ახლა შენი გოგოების გამო ჯარიმაო. ჯარიმა 150-დან 600 ათას ევრომდეა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მოტყუებით სამაშველო სამსახურს თავიანთი შინაური ცხოველებისთვის იძახებენ.

უცნობია, კატების პატრონს ჯარიმამ გოგოებზე გული ააყრევინა, თუ მისთვის უფრო ძვირფასი გახადა.

*lenta.ru*

სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო სპინტერესო

## ქალაქები, სადაც ყველაზე მეტად უნდა უფრთხილდეთ ჯიბის ქურდებს

ბრიტანულმა საიტმა City Base Apartments-მა ევროპის იმ ქალაქების ჩამონათვალი გამოაქვეყნა, სადაც ყველაზე მეტად არის გავრცელებული ჯიბის ქურდობა.

10 ქალაქს შორის პირველობა ბარსელონას ერგო. ესპანეთის ამ ულამაზეს ქალაქში ყოველწლიურად 7.5 მილიონზე მეტი ტურისტი ჩადის. თუმცა, ქალაქში ასევე ბევრი ჯიბის ქურდია, რომლებსაც განსაკუთრებით რამბლაზე, კატალონიის მოედანზე, გოთიკურ კვარტალსა და მონტკადას ქუჩაზე წააწყდებით. მართალია, ადგილობრივები ბარსელონაში გავრცელებულ ჯიბის ქურდობას უკვე „ჩვეულებრივ პრაქტიკასა და სპორტის თავისებურ სახეობას“ უწოდებენ, მაგრამ ყველა ტურისტს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებენ.

ჩამონათვალში ასევე მოხვდნენ პრაღა, რომი, ჰანოი, ამსტერდამი, ფლორენცია, ბუენოს-აირესი, პარიზი და მადრიდი.

*bpn.ge*

სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო სპინტერესო

## მალე ლონდონში ავტობუსი-სპორტდარბაზი იყლის

როგორ უნდა მოვიქცეთ 21-ე საუკუნის აჩქარებულ ცხოვრებაში, როცა დრო თითქმის მხოლოდ სამსახურისა და ძილისთვის გვრჩება. არადა, სხეული თანდათან ფორმას კარგავს და ვგრძნობთ, რომ ვდუნდებით. ბრიტანულმა ფიტნეს-კომპანიამ, ხალხო, თუ თქვენ ვერ მოდიხართ ჩვენთან, ჩვენ, მთა მოვალთ მუჰამედებთან და საშუალებას მოგცემთ, ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვროთო.

მოკლედ ფიტნეს-კომპანია სატრანსპორტო კომპანიასთან ხელშეკრულებას დებს, რომლის თანახმადაც, ლონდონელებს სახლიდან სამსახურამდე მიმავალ გზაზე ავტობუსში ვარჯიში შეეძლებათ. ავტობუსში ტრენაჟორები იქნება დამონტაჟებული, ვარჯიშის შემდეგ კი მსურველებს აბაზანის მიღება და კოქტეილის დაგემოვნება შეეძლებათ.

პირველი ფიტნეს-ავტობუსის გაშვება უკვე აგვისტოსთვის იგეგმება.

*anekdot-dnya.ru*

სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო სპინტერესო სპინტერესო ამბები...

## ჩინელს ქალისთვის ხელის თხოვნა უნდოდა და ტოტებში გაიხლართა

აფსუსია, რომ ჩვენი ამბის გმირმა არ იცის სიმღერა – „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“, თორემ ამაზე მეტს არც აღარაფერს იმღერებდა.

მოკლედ, ერთ ჩინელ შეყვარებულ კაცს საყვარელი ქალისთვის ხელის თხოვნა უნდოდა. ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, მივიდა დასკვნამდე, რომ ხელის თხოვნა არც ისე უჩვეულო ამბავი იყო, მას კი სურდა, გულისსწორი გაეოცებინა, ამიტომ გადაწყვიტა, ეს ორიგინალურად გაეკეთებინა.

პარაშუტზე დააწერა – „ცოლად გამომყევი“ და გადმოხტა. ეს კი გადმოხტა, მაგრამ ქარმა, მე ჩემი გეგმები მაქვსო და შეყვარებული ჩიტი ხეზე, ტოტებს შორის გახლართა. ვაი, შენს რომეოს! ყველა სიკეთესთან ერთად, მარტო ჩამოსვლაც ვერ მოახერხა, სამაშველო სამსახურის ადგილზე მისვლას კი 1 საათი დასჭირდა. ბოლოს და ბოლოს, დაეშვა დღის გმირი მიწაზე და გადაწყვიტა, არაფერი შეემჩნია – სატრფოს წინაშე დაიჩოქა, ყვავილები მიართვა და ცოლობა სთხოვა. თურმე, ჯერ სად იყო, მთავარი წინ ელოდა – ამდენი თავგადასავლის მთავარი მიზეზი უსიტყვოდ გატრიალდა და წავიდა. აქ უკვე ქარმა შეიცხადა, მსგავსი რამ მეც კი არ მიკადრებიაო.

ცალკე სოციალურ ქსელში ატყდა ერთი ამბავი, ეგრე მოუხდება მაგ ჯამბაზს, ვერ დაეტია მიწაზე? ხელის თხოვნას ემოცია სჭირდება, საჯარო ხტუნაობა კი არაო!

იმედია, ერთხელ უიღბლოებსაც უმართლებთ.

*lenta.ru*

სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო სპინტერესო სპინტერესო ამბები...

## ნაყინი, რომელიც „პახმელიაზე“ უებარი წამალია

არსებობს ნაბახუსევზე მისაღები საკვებისა და სითხეების ყველასთვის ცნობილი სია, მაგალითად, ხაში, რამე მომჟავო წვნიანი, „ბორჯომი“, ბრონეულის წვენი და თქვენთვის კარგად ნაცნობი მრავალი კერძი თუ სასმელი.

სამხრეთ კორეა იმაზე კრეატიული აღმოჩნდა, ვიდრე ხაშის მერე მთელი დღის ნივრის სუნით გატარებაა, ნაბახუსევის ყველასთვის სასიამოვნო საშუალება, ნაყინი შექმნა.

ნაყინი მცენარე Hovenia dulcis-ზე მზადდება. თურმე, კორეელები ჭარბი ალკოჰოლის მონელების ამ ხერხს მე-17 საუკუნეში მიმართავდნენ.

ახალი ნაყინის სახელია – „გაუძელი!“

სამხრეთ კორეელები წელიწადში დაახლოებით 12.3 ლიტრ ალკოჰოლს სვამენ. ალკოჰოლის ჭარბი სიყვარულით კი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი გამოირჩევა.

*anekdot-dnya.ru*

სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო სპინტერესო სპინტერესო ამბები...

## ალასკაში გაქცეული პატიმარი დაბრუნდა და ისევ გაიქცა

ალასკის სოციალური ადაპტაციის სარეაბილიტაციო ცენტრის პატიმარი სატვირთო მანქანიდან გაიქცა. თავიდან უკანმოუხედავად გაიქცა, მერე იქ დარჩენილი პატიმრების ბედზე დაღონდა და უკან დაბრუნდა, რომ მის ბედქვეშ მყოფი ადამიანები გაეთავისუფლებინა.

თურმე, გმირი ჯოშუა იასკა პირველად ველოსიპედით გაიქცა, 3 საათის შემდეგ კი მობრუნდა და სატვირთო მანქანაში შეღწევა სცადა, მაგრამ, რამდენადაც ცნობილია, მეგობრების განთავისუფლება ვერ მოახერხა, თავად კი ისევ მიიმალა.

„უცნობია, სად იმყოფება იასკა“, – განაცხადა პოლიციის თანამშრომელმა.

თურმე, სამართალდამცავ ორგანოებსა და ცენტრის პერსონალს გაქცეულების შეჩერების უფლება არ აქვთ, თუმცა დაჭერის შემდეგ გაქცევაში ბრალს სდებენ.

*lenta.ru*

– ექიმო, ყურში სტაფილო ამომივიდა.

– აბა, მიჩვენეთ, ოოო, ეს სასწაულია.

– სასწაულია, ექიმო, აბა, რა, მე მეგონა, კარტოფილი ჩავთესე და მის მაგივრად სტაფილო ამოვიდა.

*****

– იდიელური სიდედრი მყავს.

– ეგ როგორ გავიგო?

– როგორ და, ნებისმიერი ანეკდოტი იდეალურად ერგება.

*****

– ბუხუტი, თუ იცი, რად უნდა კატას ულვაშები?

– აბა, წვერებით ხომ არ ივლის, შე კაცო?

*****

ორი მთვრალი მობარბაცებს.

– შეხედე, შალიკია, ეს ვინაა? ჩვენ უბნელს არ ჰგავს, მოდი ვცემოთ.

– გაჩუმდი, შეხედე, როგორი დაკუნთულია, არ გაგიგოს, თორემ ორივეს გაგვლახავს.

– რას ამბობ, რა დავუშავეთ, შე კაცო, რატომ უნდა გაგვლახოს.

*****

– რაშია საქმე, ვერ გავიგე, მანქანა ვიყიდე და აღარ დადის.

– რამდენად იყიდე?

– 200 ლარად.

– შე კაცო, 200 ლარად მე მაცივარი ვიყიდე და არც ის დადის, რა მოხდა მერე, მაგაზე დარდობ?

*****

პენსიონერმა პენსია აიღო, ხელის გულზე გადათვალა და მწარედ ჩაიცინა.

– ამ პენსიით ერთდროულად საპონსა და თოკს ვერ იყიდის ადამიანი, თავის ჩამოხრჩობა რომ გადაწყვიტოს.

*****

– ალო, ფსიქიატრიული კლინიკაა?

– დიახ გისმენთ.

– ჩემს პატრონს ჰგონია, რომ მოლაპარაკე კატა ჰყავს და გაგიჟდა, იქნებ უშველოთ და დროულად მოხვიდეთ, ..... ალო, გესმით ჩემი?

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

გვერდი მოამზადა **დარინა ძამადაძემ** 593 19-85-99

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## დარიჩინის ექსტრაქტი დიაბეტისგან და გასუქებისგან დაგიცავთ

– თავისი ანტიოქსიდანტური შემადგენლობის დახმარებით, წყალში გახსნილი დარიჩინი ადამიანის ორგანიზმს დიაბეტისგან და გულის დაავადებებისგან იცავს, – ასეთი შედეგი მიიღეს ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებმა ჟოზეფ ფურიეს სახელობის ფრანგული უნივერსიტეტის სწავლულებთან ერთად.

აღნიშნულ საკითხს ამერიკელმა და ფრანგმა მეცნიერებმა 12-კვირიანი კვლევა მიუძღვნეს და შეისწავლეს ჭარბწონიანი ადამიანები პრედიაბეტური სიმპტომებით, რომლებსაც სისხლში გლუკოზისა და ინსულინის დონის დარღვევა აღენიშნებოდათ. ერთი ჯგუფი დარიჩინის ნაყენს 250 მილიგრამის ოდენობით დღეში ორჯერ სვამდა, მეორე კი კვლავ ჩვეულებრივად იკვებებოდა.

შედეგების შეჯამებისას დადგინდა, რომ დარიჩინის ნაყენმა ექსპერიმენტის მონაწილეების ორგანიზმში ანტიოქსიდანტების მაჩვენებელი 13-23 პროცენტით გააუმჯობესა, რასაც, თავის მხრივ, გლუკოზისა და ინსულინის დარეგულირებაც მოჰყვა.

მიღწევის ავტორები უახლოეს მომავალში დარიჩინის თვისებებთან დაკავშირებით მორიგი კვლევის ჩატარებას აპირებენ, რომლის დასრულების შემდეგაც, კონკრეტულ რეკომენდაციებსაც გაავრცელებენ.

*ami-tass.ru*

## ადამიანს საკუთარი უბედურება სიამოვნებას ანიჭებს?!

კალიფორნიელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, ტანჯვას ადამიანებისთვის... სიამოვნება მოაქვს(?!) და ამის მიზეზი რთული დღეების გახსენებასთან ერთად წარმოქმნილი ერთგვარი „ნარკოტიკული“ ეფექტია.

– დაუსრულებელი უარყოფითი მოვლენები ადამიანის თავის ტვინში იმ ნეირონებს ააქტიურებს, რომლებიც „სიამოვნების ცენტრშია“ განთავსებული და ხელს უწყობს მძიმე მოგონებებზე დამოკიდებულების გაჩენას, – განმარტავენ ამერიკელი სპეციალისტები.

ამგვარი ეფექტის არსებობა ცოტა უცნაური ექსპერიმენტის ჩატარებით მტკიცდება, რომელშიც 23 ქალი მონაწილეობდა და რომელთაგან 11 ახლო ნათესავის სიკვდილისგან იტანჯებოდა. როცა მეცნიერებმა მათ გარდაცვლილების ფოტოები აჩვენეს და თავის ტვინის სკანირება ჩაატარეს, აღმოაჩინეს, რომ ფოტოების დემონსტრირებისას ადამიანების ტვინში „სიამოვნების ცენტრის“ აქტივაცია ხდებოდა...

ალბათ, ხშირად მოგისმენიათ ერთი ასეთი უცნაური სადღეგრძელო: ჩვენს ტკბილ მოგონებებს გაუმარჯოს, რომლებმაც თავის დროზე ძალიან დიდი სიმწარე გვაჩვენესო...

აი, ასე უცნაურადაა მოწყობილი ადამიანის თავის ტვინიცა და ზოგადად, აზროვნებაც...

*medportal.com*

## მცენარეები დახმარებისთვის მტაცებელ მწერებს „იძახებენ“

მართლაც საოცარია დედა ბუნება და მისი საიდუმლოებების ბოლომდე ამოხსნას კაცობრიობა, ალბათ, კიდევ ძალიან დიდხანს ვერ შეძლებს.

ამ შემთხვევაში, საუბარია გერმანელი და ნიდერლანდელი მეცნიერების ახალ მიგნებაზე, რომლის მიხედვითაც ცნობილი ხდება, რომ მცენარეებს, რომელთა ფოთლებსაც მუხლუხოები და სხვა პარაზიტი არსებები ანადგურებენ, დახმარებისთვის მტაცებელი მწერების „გამოძახება“ შეუძლიათ.

სპეციალისტების ინფორმაციით, კვლევის ფარგლებში რამდენიმე სახეობის მცენარეს იკვლევდნენ და აღმოაჩინეს, რომ ფოთლების დაზიანების შემთხვევაში, ავტომატურად იწყება კონკრეტული ქიმიური ნივთიერებების გამოყოფა, რომელიც „სტანდარტულისგან“ განსხვავებული თვისებებით გამოირჩევა. სწორედ ასეთი ნივთიერებები წარმოადგენენ მტაცებელი მწერებისთვის ერთგვარ სიგნალს, რომლებიც პარაზიტებით იკვებებიან და მაშინვე მცენარის დასახმარებლად მიფრინავენ.

ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მცენარეების ქიმიური ნივთიერებების სტრუქტურაზე თავად მავნე მწერების პირში გამოყოფილი სეკრეტული სითხე მოქმედებს.

*news.rin.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**25 მაისი:** რაღაც შეცდომის გამო სინდისის ქენჯნას იგრძნობთ. თავი ხელში აიყვანეთ, თორემ ამით ვიღაც ისარგებლებს და კისერზე შემოგაჯდებათ.

**ხარი 22.04-21.05**
**25 მაისი:** რაღაცა ისე ვერ იქნება. ადამიანი, რომლის მიმართაც გრძნობების გამოხატვა გსურდათ, ხელს გკრავთ, მარტოობა მოგინდებათ, მაგრამ ვიღაცები არ მოგასვენებენ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**25 მაისი:** რაიმე სიახლის ძებნაში ხეტიალი და ფიქრი არ მოგიწევთ. ყველაფერს ერთი სატელეფონო ზარი გადაწყვეტს. მთავარია, ამ ზარს დაელოდოთ.

**ირმახი 22.06-22.07**
**25 მაისი:** ამ დღემ შესაძლოა, არაერთი სიურპრიზი მოგიტანოთ. ლოდინსა და გარკვევაში ნერვებს ნუ დაიგლეჯთ, აზრი არ არ აქვს, თანაც, ეშხს დაკარგავს.

**ლომი 23.07-22.08**
**25 მაისი:** შეეცადეთ, პირადი კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანოთ, განსაკუთრებით ნათესავებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი გარდაუვალი იქნება.

**ქალწული 23.08-22.09**
**25 მაისი:** დღეს დახმარება დაგჭირდებათ და რაიმე მიზეზით ამაზე უარის თქმა სისულელე იქნება. დაიხმარეთ და მადლობის გადახდაც არ დაგავიწყდეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**25 მაისი:** თუ უსიამოვნებები არ გსურთ, ამას დიდი ძალისხმევა არ დასჭირდება, მთავარია, ზომიერება დაიცვათ და შეთანხმებები არ დაარღვიოთ.

**ირიხანა 23.10-21.11**
**25 მაისი:** კარგი დღეა იმ პროექტის დასაწყებად, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებთ. არის დიდი შანსი, რომ იმედები გაგიმართლდეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**25 მაისი:** კრიტიკულ შენიშვნებზე პასუხის გაცემა არ მოგიწევთ, იმ მარტივი მიზეზით, რომ გასაკრიტიკებელს ვერაფერს მოგიძებნიან. ყველაფერს სწორად გააკეთებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**25 მაისი:** ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და დარწმუნდით, რომ სწორი გზით მიდიხართ. შეიძლება რაღაცას არასწორად აკეთებთ და გეგმების შეცვლა დაგჭირდეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**25 მაისი:** გაუბედავი ნაბიჯები სულელური შეცდომისგან გიხსნით. არ მოდუნდეთ მხოლოდ იმის გამო, რომ ინტუიცია აქტიურ ქმედებებში გზლუდავთ, უბრალოდ, ნელა იმოქმედეთ.

**თევზები 19.02-20.03**
**25 მაისი:** თავი ხელში აიყვანეთ და ზომიერების გრძნობა არ დაკარგოთ. დღეს არც გადაჭარბებული რამ ივარგებს და არც ნაკლები. დანის პირზე გავლა მოგიწევთ.

**გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

**„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი (15 საათიდან)**

## ბრიტანელმა მეცნიერმა მომავლის ჯავშანი გამოიგონა

ნანოსტრუქტურის საფუძველზე შექმნილი მასალა მომავლისთვის იმის საშუალებას გამოიღებს, რომ მომზადდეს ახალი თაობის წარმოუდგენლად გამძლე ჯავშანჟილეტები და ჯავშანი, რომელიც დღეისთვის არსებულ ნიმუშებს თავისი გამძლეობით ასჯერ, ათასჯერ და უფრო მეტჯერაც აჯობებს.

ნოტინგჰემის უნივერსიტეტის პროფესორის, იან კვი ჯუს ხანგრძლივი კვლევების შედეგად შეიქმნა „აპნანოს“ მასალის ნიმუში, რომელმაც 1,5 კილომეტრ/წამის სიჩქარით გამოსროლილ ფოლადის ჭურვს გაუძლო, რომლის ზეწოლის სიმძლავრე 1 კვადრატულ სანტიმეტრზე 250 ტონით განისაზღვრა. ეს კი, თავის მხრივ, ადამიანის ფრჩხილზე ოთხი დიზელლოკომოტივის დაცემის ანალოგიურია.

დაუჯერებელია, მაგრამ ბრიტანულ მედიაში აღნიშნავენ, რომ ნანოსტრუქტურის საფუძველზე შექმნილი ჯავშნის ნიმუშები ასეთი უძლიერესი დარტყმის შემდეგ ანალოგიური დაუზიანებელი მასალისგან პრაქტიკულად, არ განსხვავდებოდა.

ცნობილია, რომ იან კვი ჯუ აღნიშნული მიმართულებით გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მუშაობს. დღეისთვის მიღებული შედეგები კი მართლაც მნიშვნელოვანია, თუმცა როდიდან მოხერხდება ასეთი გამძლე ჯავშნის ფართოდ გამოყენება, რატომღაც ამ თემაზე კომენტარს არავინ აკეთებს.

*ukr-portal.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

– ციალა, რომ იცოდე, რა ცბიერი ცხოველი ყოფილა მელია!

– რა იცი?

– რა ვიცი და ამ დილით სანადიროდ გავედი ტყეში. ვხედავ, ბუჩქებიდან მელიამ გამოყო თავი, ეგრევე დავუმიზნე თოფი, ვესროლე და მოვარტყი.

– მერე რა ქენი?

– მივედი, ბუჩქები გადავწიე და მელიის მაგივრად ჩვენი ძაღლი ბისკვიტია შემრჩა ხელში! აი, ეგეთი ცბიერი ცხოველია მელია.

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**გაზეთი „ალია“**

**ALIA**

**გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს**

**გამომცემელი**
**გიორგი ბრეგვაძე**

**რედაქტორი:** თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

**საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი** – **მიხეილ სახვაძე**
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

**ოფისმენეჯერი** – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

**გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი**
**ილია ჟაძვაძე** (599 55-45-22)

**კომპიუტერული ცენტრის დირექტორი**
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
**☎ 2-333-170**
**577-444-442**
**მიხეილ სახვაძე**
**221 21 80**
**(შიდა ნომერი 110)**
***E-mail: reklama@alia.ge***

®-ით, D-ით, ან ○-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

*რედაქციის მისამართი: ალექსიძის I კვარტალი 30-4 კრპ. I სართული (ალექსიძის ძეგლი)*
*☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:*
***alia@alia.ge***

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.15